ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 20 – 21 აგვისტო, 2016

№197 (7123)

ფასი: 50 თეთრი

ირაკლი მენაღარიშვილი: „საქართველოს სტრატეგიული არჩევანის გადახედვის საფუძველი არ არსებობს“

გვ.4

ჯარისკაცი ყარაულში გარდაცვლილი იპოვეს

გვ.5

19 აგვისტოდან

თედორე დოსტოევსკი

ყმაწვილი

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

სანდრა რულოვსი: „მიშას თვალებში შევხედე და ზუგდიდში კენჭისყრას მერე დავთანხმდი“

გვ.2

„ოცნებამ“ შეიძლება გოდერძი ბუკია გამოცვალოს

ირაკლი სესიაშვილი: „სანდრას წარდგენა ჩვეულებრივი ხრიკია“

გვ.2

გვ.3

მერაბ მეტრეველი ბურჭულაძის პარტიას ტოვებს

„ქართულ ოცნებას“ ნანა ყეინიშვილი გაექცა

გვ.3

ნუკრი ქანთარია: „ნანა ყეინიშვილის წასვლის გამო „კაპლები“ არ დაგვჭირდება“

ვახტანგ ძაბირაძე: „სანდრა რულოვსს ზუგდიდში გამარჯვების შანსი აქვს“



გვ.4

გვ.5

პეტრე მამრაძე: „შეგახსენებთ, რომ გირჩის ნაცებისგან გამოყოფა ივანიშვილმა დადებითად შეაფასა“

ხალხი ზიზღით უყურებს ამ პოლიტიკურ თამაშებს – პოლიტიკურ განშორებებსა და გაერთიანებებს.

ISSN 1987-9385

„ბურჭულაძის ბლოკი ხელისუფლებაში ვერ მოვა“

გვ.6

მანუჩარ მაჩაიძე კენჭს მეჭიაურის პარტიის სახელით იყრის

გვ.2

ალეკო ელისაშვილი: „პროკურატურა ხეების მოჭრას გულმოდგინედ იძიებს“

დეპუტატის იმუნიტეტთან ერთად ბიზნესინტერესების არსებობა კორუფციის საფუძველია

გვ.6

თუ 2003 და 2012 წლის არჩევნები საქართველოს შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმებისაგან გათავისუფლების იდეით მიმდინარეობდა და გაამართლა, დღეს ასეთი გამაერთიანებელი იდეა არ არსებობს.

სანდრა რულოვსი: „მიშას თვალებში შევხედე და ზუგდიდში კენჭისყრას მერე დავთანხმდი“

„ოცნებამ“ შეიძლება გოდერძი ბუკია გამოცვალოს

შორენა მარსაგიშვილი

„ახალი თაობა“ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ წერდა, რომ სანდრა რულოვსს ნაციონალური მოძრაობა სამეგრელოში პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგენდა. ამ ინფორმაციას ყოფილ ხელისუფლებაშიც გვიდასტურებდნენ. თუმცა მაშინ ამ საკითხზე პარტიაში პატარა უკმაყოფილება მოხდა და რულოვსის კანდიდატურის წარდგენა შეჩერდა.

მოგვიანებით პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ რულოვსის კანდიდატურის გამო ერთმანეთთან კამათი მიხეილ სააკაშვილს და ზურაბ ადეიშვილსაც მოუვიდათ. ამ პერიოდში უკრაინულ პრესაში რამდენჯერმე დაიწერა, რომ რულოვსი ჩართული იყო ადამიანების ორგანოების ვაჭრობაში და ადეიშვილმა სააკაშვილს ურჩია, რულოვსის კანდიდატურის წარდგენისგან თავი შეეკავებინათ.

როგორც ამბობენ, მის კანდიდატურას ნაციონალური მოძრაობის კიდევ რამდენიმე ლიდერი ეწინააღმდეგებოდა.

თავად ყოფილმა პირველმა ლედიმ განაცხადა, რომ ის ბუნებით უფრო რეჟისორი იყო, ვიდრე შემსრულებელი. მაშინ ითქვა, რომ რულოვსი სიის პირველნომრობას ან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ითხოვდა.

ასე იყო თუ ისე, ბოლოს სააკაშვილმა ნაციონალები დაიყოლია, რომ ზუგდიდში მაჟორიტარად მისი თანამეცხედრის კანდიდატურა დაეყენებინათ.

პარტია „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა მიქაია ამბობს, რომ სანდრა რულოვსის გამოჩენა „ქართულ ოცნებას“ პრობლემებს შეუქმნის.

– მიუხედავად იმისა, რაც სააკაშვილმა სამეგრელოში გააკეთა, აქ სანდრა მაინც უყვართ. ის „ქართული ოცნებისთვის“ სერიოზული კონკურენტი იქნება. სანდრა ჩამოვა ზუგდიდში, გააკეთებს ღომს, იმღერებს მეგრულად და არჩევნებიც მოგებული აქვს, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარი მიქაია.

მისი ინფორმაციით, ნაციონალებს „ოცნების“ დამარცხება სანდრას გარეშეც არ გაუჭირდებათ.

– ნაციონალები დღეს „ქართულ ოცნებას“ აკონტროლებენ. არ ვიცი, აშანტაჟებენ თუ რა, მაგრამ მათ შესახებ ყველაფერი იციან, – აღნიშნავს „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

კახა მიქაიას მოსაზრებებს იზიარებს დეპუტატი გივი თარგამაძე. ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ამტკიცებს, რომ „ოცნებაში“ უკვე შეეგუვნენ იმ აზრს, რომ სამეგრელოში არჩევნები წაგებული აქვთ.

– ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატი ზუგდიდის რაიონში სანდრა რულოვსი იქნება. მისი თბილი და გულწრფელი გამოსვლა ყველა ზონდერზე ძლიერია, დღეიდან გლუვმა და ყველა ქოცმა ზუსტად იცის, რომ სამეგრელო წაგებული აქვთ. სამეგრელოს წაგება კი მთელი ქვეყნის წაგებას ნიშნავს, – ამბობს გივი თარგამაძე.

„ქართულმა ოცნებამ“ სამეგრელო 2012 წელსაც წააგო. ამ რეგიონში ერთადერთი ადგილი, სადაც „ოცნების“ კანდიდატმა მოიგო, ფოთი იყო. ამის მიუხედავად, არჩევნებში გამარჯვება მაშინ ბიძინა ივანიშვილის ბლოკს დარჩა.

არჩევნების მიმართ ოპტიმისტურად არის განწყობილი სანდრა რულოვსიც. მან ამომრჩეველთან შეხვედრისას პირობა დადო, რომ არასდროს განმეორდება ის, რაც ადრე იყო.

– სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, მიშას შევხვდი და ვესაუბრე. თვალებში შევხედე, რომ დავრწმუნებულიყავი, ის ძალადობა, რაც იყო, აღარ განმეორდება, – ამბობს რულოვსი.

ცოტა ხნის წინ თავის ერთ-ერთ მიმართვაში თავად მიხეილ სააკაშვილმაც განაცხადა, რომ ნაციონალები ძალადობასა და შურისძიებაზე უარს ამბობენ.

* * *

სანამ ნაციონალები სამეგრელოს მოგებას წინასწარ ზეიმობენ, „ქართულმა ოცნებამ“ შესაძლოა მაჟორიტარობის კანდიდატები გამოცვალოს. შესაცვლელ მაჟორიტარებს შორის შესაძლოა მილიონერი დეპუტატი გოდერძი ბუკია მოხვდეს. ცოტა ხნის წინ ის „ოცნებამ“ ხობის მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინა. 4 წლის წინ ის ამავე რაიონში ნაციონალების რჩეული იყო.

გოდერძი ბუკია

„ოცნებაში“ ყოფილი ნაციონალები არ უკვირთ. ბუკიას ფენომენი კი მაინც სულ სხვაა, ის ერეკლე კოდუას ნათლიაა, ხოლო მისი შვილის ნათლია ბიზნესმენი ავთო წერეთელი გახლავთ, რომელიც თავის მხრივ ბიძინა ივანიშვილთან არის დაპირისპირებული.

ბუკიას შეცვლის მიზეზი მისი ნაციონალური წარსული და კავშირები სულაც არ არის. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რითია რუსეთი ოკუპანტიო და სწორედ ამაზეა ერთი ამბავი ატეხილი.

თავის დროზე „ოცნებამ“ სწორედ რუსეთის ქების გამო მოიკვეთა საკუთარი რიგებიდან თამაზ მეჭიაური, რომელიც, ბუკიასგან განსხვავებით, იმას მაინც აღიარებდა, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიები აქვს ოკუპირებული.

ირაკლი სესიაშვილი: „სანდრას წარდგენა ჩვეულებრივი ხრიკია“

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ნაციონალური მოძრაობის მიერ მაჟორიტარობის კანდიდატად ყოფილი პირველი ლედის, სანდრა რულოვსის დასახელება პოლიტექნოლოგიური ნაბიჯია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სესიაშვილმა განუცხადა, ამ ნაბიჯით მიხეილ სააკაშვილს სურს, შექმნას ილუზია, რომ ის კვლავ ნაციონალურ მოძრაობაშია, თუმცა, როგორც დეპუტატი აღნიშნავს, რეალურად სააკაშვილი მოსახლეობას მის მიერ შექმნილ ახალ პროექტს, ბურჭულაძე-ვაშაძე-ჯაფარიძე-კაციტაძის ბლოკს სთავაზობს.

ირაკლი სესიაშვილი:

– აშკარაა, რომ ახალი ბლოკი, რომელიც შეიქმნა, სააკაშვილის პროექტია, რომელსაც შეიძლება დავარქვათ ნაციონალური მოძრაობა 2.

ნაციონალური მოძრაობა თავისი თარგამაძეებით, ბოკერიებით, ბარამიძეებით, გოგორიშვილებით აბსოლუტურად დისკრედიტირებულია და დისკრედიტირებულ ძალაში სააკაშვილს არ უნდა, რომ ფული ჩადოს, სწორედ ამიტომ ხელოვნურად გამოაცალკევა ჯაფარიძე და ვაშაძე ჩაძირული გემიდან, შექმნა ეს ერთობა, რომელსაც მიუერთა ბურჭულაძე.

დეპუტატი მიესალმება ამ მარტივ პროექტს, რადგან საზოგადოებას მარტივი ანალიზი დასჭირდება იმისთვის, რომ დაინახოს მათი სახე.

– ეს ის პიროვნებები არიან, რომლებიც სააკაშვილს ნაციონალური მოძრაობის ფარგლებში რომ გაემარჯვათ, ზუსტად იმ იდეოლოგიის მატარებლები იქნებოდნენ და იმ სადისტური პოლიტიკის ტაშის დამკვრელები იქნებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, პოლიტიკურად გათვალეს, რომ ამ ჩაძირული გემიდან დროზე უნდა გადმომხტარიყვნენ, – განაცხადა სესიაშვილმა.

მისივე თქმით, სანდრა რულოვსის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დასახელება, ქართულ პოლიტიკაში რაიმე სიტყვის თქმის საშუალებას არ უკავშირდება.

– ყველა დანარჩენი პროექტი, რაც არის ტაქტიკურ დონეზე გადაადგილებები, წმინდა პოლიტექნოლოგიური ნაბიჯებია და სანდრას წარდგენა უკავშირდება არა ქართულ პოლიტიკაში რაიმე სიტყვის თქმის საშუალებას, არამედ ეს არის ჩვეულებრივი ხრიკი და მრავალფეროვნების მცდელობა. ვითომ სააკაშვილი, თავისი ცოლით, მიკუთვნებულია ნაციონალურ მოძრაობას, რეალურად კი გვთავაზობს ახალ პოლიტიკურ გუნდს ბურჭულაძე-ჯაფარიძე-ვაშაძის სახით, – აღნიშნა სესიაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ალეკო ელისაშვილი: „პროკურატურა ხეების მოჭრას გულმოდგინედ იძიებს“

19 აგვისტოს ალეკო ელისაშვილი და „პარტიზანი მებაღეობის“ წარმომადგენლები თბილისის პროკურატურამ გამოკითხა.

მათ გამომძიებლებს ყაზბეგის №24-ში მომხდარ ხეების მოჭრის ფაქტზე ინფორმაცია მიაწოდეს. როგორც პროკურატურიდან გამოსულებმა განაცხადეს, გამომძიებლებს მათ განუმარტეს, რომ დანაშაული კომპანიის წარმომადგენლებს არ ჩაუდენიათ და პირდაპირ იკვეთება მერიის შესაბამისი სამსახურების დანაშაული.

საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატის, ალეკო ელისაშვილის თქმით, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლითაა აღძრული, თუმცა გამომძიებლებმა არ გამორიცხეს, რომ საქმეს კვალიფიკაცია შეეცვალოს.

ელისაშვილი მიიჩნევს, რომ საქმე სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით უნდა გადაკვალიფიცირდეს.

ალეკო ელისაშვილი:

– ერთმნიშვნელოვნად სახეზეა გამწვანებისა და ზედამხედველობის სამსახურების ხელმძღვანელობის გულგრილობა. ერთი ვალდებული იყო ექსპერტის ავაზაკური და მშრალი დასკვნა, რომ თითქოს იქ გამხმარი იყო ყველაფერი, გადაემოწმებინა ადგილზე და ზედამხედველობის სამსაური ვალდებული იყო ჭრის პროცესისთვის მიედევნებინა თვალყური, რომ კომპანიის წარმომადგენლებს სხვა ხეები არ მოეჭრათ.

ელისაშვილს დარჩა შთაბეჭდილება, რომ პროკურატურა მონდომებით იძიებს ამ საქმეს.

მისივე თქმით, ცალსახად ჰქონდა ვალდებულება გამწვანების სამსახურს, რომ ადგილზე მისვლით გადაემოწმებინა ექსპერტიზის დასკვნა.

– ახლა რომ ცაში იყურებიან და იმ კომპანიას აწმენდენ ხელებს, კომპანიამ რომ დაგიწეროს, იქ საერთოდ ხეები არ არის, არ უნდა მიხვიდე და არ უნდა გადაამოწმო? – განაცხადა ელისაშვილმა.

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ითხოვს, რომ მერიის გამწვანებისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

* * *

შპს „ორბი ჯგუფის“ წარმომადგენელი ნიკოლოზ არჩვაძე ირწმუნება, რომ ყაზბეგის 24 ნომერში ხეების მოჭრისთვის ნებართვა მერიისგანაც ჰქონდათ. როგორც ნიკოლოზ არჩვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ყველა პროცედურა კანონმდებლობის მიხედვით განხორციელდა.

– ყველა ხე მოიჭრა ნებართვით და ყველა საჭირო დოკუმენტაცია არსებობს და მიეწოდება პროკურატურას, – განაცხადა არჩვაძემ და აღნიშნა, რომ ხეების მოჭრისთვის იყო მერიის ნებართვაც და ექსპერტის დასკვნაც.

არჩვაძემ დამატებით დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავა და განაცხადა, რომ გამომძიება გასცემს ყველა კითხვაზე პასუხს.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მერაბ მეტრეველი ბურჭულაძის პარტიას ტოვებს

„ქართულ ოცნებას“ ნანა ყეინიშვილი გაექცა

შორენა მარსაგიშვილი

პაატა ბურჭულაძის თავს დიდი ამბები ხდება. პარტია, რომელსაც ლამის მესამე ძალად ქცევას უწინასწარმეტყველებდნენ, გოგა ხაჩიძის და გიორგი ვაშაძის ბლოკის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ამ გაერთიანებას წინ ბევრი სკანდალი უსწრებდა. ბურჭულაძის წინააღმდეგ ბევრი ცუდი ინფორმაცია გავრცელდა. მერე პარტიიდან ხალხმა დაიწყო წასვლა. დაარსებიდან ძალიან მალე, პარტია მისმა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ერეკლე გურჩიანმა დატოვა. ამის შემდეგ პარტიიდან ასეულობით ადამიანი წავიდა. გირჩებთან დაბლოკების შემდეგ შესაძლოა იქედან გამოქცეული ხალხის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდოს.

პარტიის დატოვებას მისი ერთ-ერთი ლიდერი მერაბ მეტრეველიც აპირებს.

– მე არ მომეწონა, პარტია საარჩევნო ბლოკში რომ შევიდა. მინდოდა, პარტიას ცალკე მიეღო არჩევნებში მონაწილეობა. ამ ბლოკში მე არ მინდა ყოფნა. ამის შესახებ პაატასაც ვუთხარი. მან მითხრა, რომ ცხელ გულზე არ მივიღო გადაწყვეტილება. მას 22 აგვისტოს შევხვდები და საბოლოო გადაწყვეტილებას მაშინ გავახმოვანებ, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში მეტრეველმა.

„ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, რომ მეტრეველმა პარტიის დატოვების სურვილი მაშინაც გამოთქვა, როცა გაიგო, რომ მათ რიგებში კოტე კემულარია მოხვდა.

ბურჭულაძის პარტიაში მიმდინარე რღვევის პროცესი „ქართულ ოცნებაში“ ძალიან უხარიათ. არადა, რღვევის თვალსაზრისით, არც აქ აქვთ კარგად საქმე.

გუშინ, 19 აგვისტოს, პარტია ნანა ყეინიშვილმა დატოვა. მან თავის გადაწყვეტილება ტვ პირველის ეთერში გაახმოვანა. ყეინიშვილმა სიამაყით განაცხადა, რომ ფერისცვალებაზე ფერი იცვალა.

ყეინიშვილმა პარტიიდან წამოსვლის მიზეზად ის დაასახელა, რომ „ოცნებამ“ მაჟორიტარებად სულ ყოფილი ნაციონალები წარადგინა.

– ჩვენ არაერთხელ გვქონდა გუნდის შიგნით საუბარი იმაზე, რომ ნაციონალები არ უნდა დაესახელებინათ, მაგრამ სხვანაირად მოხდა. ჩემთვის ყოფილი ნაციონალები ბუნებაში არ არსებობენ, ამიტომაც მივიღე პარტიიდან წასვლის გადაწყვეტილება, – აცხადებს ყეინიშვილი.

როგორც „ქართულ ოცნებაში“ ამბობენ, ნაციონალების წარდგენა არაფერ შუაშია. ყეინიშვილი იმით არის უკმაყოფილო, რომ სიაში არ მოხვდა. ცოტა ხნის წინ მან მმართველ გუნდს შესთავაზა, ჩემი შვილი ჩაწერეთ სიაშიო. „ოცნებამ“ არც ეს გაითვალისწინა.

რაც შეეხება ყეინიშვილის დამოკიდებულებას ნაციონალების მიმართ, ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ამბობს, რომ თავის დროზე განქოცებულ დეპუტატს ძალიანაც მოსწონდა ყოფილი ხელისუფლება.

– დიდი ხანია, ნაციონალებზე აღარ ამოსდის მზე და მთვარე? დაავიწყდა, 2012 წელს როგორ ეხვეწებოდა ნაციონალებს, თქვენი მაჟორიტარობის კანდიდატი ვიქნებიო? ამაზე პირადად მე მთხოვა შუამდგომლობა, მას ახმეტის მაჟორიტარობა სურდა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ქ-მა გოცირიძემ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2012 წლის დეკემბრის ბოლოს გამოცემულ ამნისტიის აქტში ნანა ყეინიშვილის ძმა და 2 მაზლი – ძმები ქარქუსოვები მოხვდნენ. ძმამ პოლიტპატიმრის სტატუსი მიიღო, მაზლებმა – პოლიტდევნილის.

ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ ყეინიშვილის მაზლთაგან ერთ-ერთი, ჯემალ ქარქუსოვი, კოკოითის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. 2004 წლის კონფლიქტის დროს, ირაკლი ოქრუაშვილმა მას ბეტეერი „აახია“. ამის შემდეგ კოკოითიმ ქარქუსოვი ციხეში ჩასვა. 2006 წელს ის და მისი ძმა ვანო მერაბიშვილმა ცხინვალის ციხიდან გამოაპარა, რის შემდეგაც ჯემალი უკვე სანაკოევის მთავრობის შს მინისტრი გახდა. ცოტა ხანში ის საქართველოდან გაიქცა.

ნუკრი ქანთარია: „ნანა ყეინიშვილის წასვლის გამო „კაპლები“ არ დაგვჭირდება“

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წევრი, ნუკრი ქანთარია პარტიიდან ნანა ყეინიშვილის წასვლას დიდ ტრაგედიად არ მიიჩნევს.

ნუკრი ქანთარია:

– თუ დატოვა, ეს არ არის დიდი ტრაგედია „ქართული ოცნებისთვის“. არ დაგვჭირდება ამისთვის მოსასულიერებელი კაპლები.

დეპუტატმა ნანა ყეინიშვილმა „ქართული ოცნება“ დატოვა და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას პარტია „ჩვენების“ სახელით მიიღებს. ამის შესახებ ნანა ყეინიშვილმა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში განაცხადა, ხოლო მიზეზად „ქართული ოცნებაში“ ნაციონალების ყოფილი წევრების მომრავლება დაასახელა.

– მე ამაყი ვარ, რომ წამოვედი „ქართული ოცნებიდან“. ჩემი წამოსვლა არ ნიშნავს იმას, რომ ჩემი გუნდის წევრებზე ვთქვა, რომ ისინი არ ვარგოდნენ და მე ვარ კარგი, ყველას ვუდასტურებ ჩემს დიდ პატივისცემას, ასევე, მინდა ბატონ ბიძინა ივანიშვილს მადლობა ვუთხრა ყველაფრისთვის, რაც 2012 წლიდან დღემდე მისი ხელმძღვანელობით მოხდა საქართველოში, – განაცხადა ყეინიშვილმა.

ცესკომ საკრებულოს შუალედური არჩევნები დანიშნა

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს შუალედური არჩევნები წალკის, ჭიათურის, აბაშის, კრწანისის, ისნის, გლდანისა და ზუგდიდის ადგილობრივ საარჩევნო ოლქებში ჩატარდება.

გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტმა მერისა და თვითმმართველი თემის გამგებლების რიგგარეშე არჩევნები დანიშნა, რომელიც ბოლნისის, ქალაქ ახალციხის, ხარაგაულის, ჭიათურის, ზუგდიდისა და წალენჯიხის საარჩევნო ოლქებში ჩატარდება.

როგორც ცესკო-ს პრესსპიკერმა ანა მიქელაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ცესკომ დაამტკიცა საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკები ორივე ზემოთ აღნიშნული არჩევნებისთვის.

საერთო ჯამში, საკრებულოს შუალედური არჩევნები ჩატარდება 7 ადგილობრივი საარჩევნო ოლქის 106 საარჩევნო უბანზე, ხოლო მერის და თვითმმართველი თემის გამგებლების რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება 263 საარჩევნო უბანზე.

ასევე, 19 აგვისტოს სხდომაზე ცესკომ დაამტკიცა საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს სამხედრო ნაწილებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეების საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის პროპორციული წესით ჩასატარებელ არჩევნებში მონაწილეობის წესი.

ავღანეთში შეიქმნება 2 საარჩევნო უბანი: ბაგრამის საარჩევნო უბანი და მაზარი-შარიფის საარჩევნო უბანი. კენჭისყრა გაიმართება 2016 წლის 1 ოქტომბერს, დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე ადგილობრივი დროით.

გადასატანი საარჩევნო ყუთი უბანში შეიძლება დაბრუნდეს საღამოს 8 საათის შემდგომ. 1 ოქტომბერს ფორს-მაჟორული გარემოებების შესაძლო დადგომის შემთხვევაში, კენჭისყრა შეიძლება გაიმართოს გარემოებების აღმოფხვრიდან მომდევნო დღეს, მაგრამ არა უგვიანეს 4 ოქტომბრისა.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს პარლამენტის საერთო და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების რიგგარეშე-შუალედური არჩევნები ერთდროულად გაიმართება 2016 წლის 8 ოქტომბერს, ცესკომ განსაზღვრა ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა, არჩევნებში ჩართული სხვადასხვა მხარეებისთვის, მათ შორის დამკვირვებლების და მედიის არჩევნებში მონაწილეობის წესი.

ცესკომ ასევე მიიღო დადგენილება 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი არჩევნებისთვის საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ.

პარტიული სიების წარდგენის ბოლო ვადაა 2016 წლის 8 სექტემბერი.

ბათუმის პორტთან ზღვამ მამაკაცის ცხედარი გამორიყა

ბათუმის პორტთან ზღვამ 35 წლამდე ასაკის მამაკაცის ცხედარი გამორიყა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. შსს-ს ცნობით მამაკაცის ცხედარი იდენტიფიცირებულია.

ინტერპრესნიუსი

რატომ დაიკლო ექსპორტმა იანვარ-ივლისში

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ გაგუას განცხადებით, 2016 წლის იანვარ-ივლისში ექსპორტის კლება გამოწვეულია მხოლოდ ფასისმიერი ეფექტით.

ამის შესახებ ნიკოლოზ გაგუამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომელზეც ის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციას გამოეხმაურა და ქვეყნაში არსებული ეკონომიკური მაჩვენებლები შეაჯამა.

საქსტატის თანახმად, 2016 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს საგარეო ვაჭრობა 17%-ით არის გაზრდილი.

– საგარეო ვაჭრობის ოფიციალურ მონაცემებზე დიდ გავლენას ახდენს ცე ჰეპატიტის წამლები, რომელიც სრულად გრანტით ფინანსდება, ამიტომ ვთვლით, რომ სწორი იქნება მათი გამოყოფა ანალიზიდან, – განაცხადა გაგუამ.

2016 წლის იანვარ-ივლისში წინა წელთან შედარებით, ექსპორტი შემცირდა 12 პროცენტით და 1.121.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა; ასევე შემცირდა იმპორტი 6 პროცენტით და 3.868.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ჯამში გვაქვს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება 84 მლნ აშშ დოლარით დასახელებულ პერიოდში. ექსპორტის ხსენებული მონაცემი არის ნომინალური მონაცემები.

– ხაზი უნდა გაესვას, რომ ექსპორტში კლება გამოწვეულია მხოლოდ ფასისმიერი ეფექტით. პირველ და მეორე კვარტალში გვქონდა პრაქტიკულად ნულოვანი კლება, ხოლო ივნისში გვაქვს რეალური ზრდა 2.9 პროცენტი, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

მისი თქმით, გაიზარდა საინვესტიციო საქონლის იმპორტი. შესაბამისად, შემცირება მოდის სამომხმარებლო და შუალედურ საქონელზე, ხოლო საინვესტიციო საქონლის იმპორტი გაზრდილია.

– საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 13 პროცენტით გაიზარდა და მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში 130 მილიონი აშშ დოლარით მეტი სავალუტო შემოდინება დააგენერირა წინა წელთან შედარებით, – განაცხადა ნიკოლოზ გაგუამ.

მისივე თქმით, 2016 წლის იანვარ-ივლისში შემცირება პრაქტიკულად აღარ გვაქვს ფულად გზავნილებში (0.6 პროცენტით იკლო).

– ჩვენი პროგნოზით, 2016 წელს ფულადი გზავნილები უნდა გაიზარდოს. ჯამში წმინდა საერთაშორისო ფულადი ნაკადები მიმდინარე ანგარიშის ნაწილში (თუ არ ჩავთვლით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს) გაიზარდა დაახლოებით, 210 მლნ აშშ დოლარით, – განაცხადა გაგუამ.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილის განცხადებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პირველ კვარტალში 30 პროცენტით გაიზარდა. გაზრდილია ლარიზაციის მაჩვენებელიც.

– მთავრობა მუშაობს ლარიზაციის კომპლექსურ გეგმაზე, რამაც უნდა შექმნას ქმედითი სტიმულები ეკონომიკის ლარიზაციისათვის. ეს არის ეკონომიკის სწრაფი და სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობა, – აღნიშნა ბ-მა გაგუამ.

მისივე თქმით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი არ არის მაღალი. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის არასაკმარისად მაღალი მაჩვენებელი მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი საზრუნავია.

როგორც ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, მიმდინარე წელს, განსაკუთრებით მარტის შემდეგ, ინფლაციის მაჩვენებელი არის დაბალი. ბოლო თვეებში ფასები იზრდება 1-2 პროცენტით.

პოზიტიურია დინამიკა სახაზინო ფასიან ქაღალდებზე.

– მთავრობის ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთი კარგი საზომია ქვეყნის ეკონომიკისადმი და მისი მაკროეკონომიკური პოლიტიკისადმი ნდობის. დაბალი საპროცენტო განაკვეთი ნიშნავს უფრო სანდო და სტაბილურ ეკონომიკას. 5-6 პროცენტული პუნქტით დაიკლო საპროცენტო განაკვეთმა სხვადასხვა ვადიანობის მიხედვით.

შედარებით მნიშვნელოვანი კლებაა გრძელვადიან (5 წლიან) ფასიან ქაღალდებზე, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგრადობას მაღალი სანდოობა აქვს, – აღნიშნა ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ვახტანგ ძაბირაძე: „სანდრა რულოვსს ზუგდიდში გამარჯვების შანსი აქვს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სანდრა რულოვსის ზუგდიდის მაჟორიტარულ ოლქში გამარჯვების შანსებსა და სააკაშვილის ახალ პოლიტიკურ სქემაზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ნაციონალურმა მოძრაობამ ზუგდიდში მაჟორიტარ კანდიდატად სანდრა რულოვსი დაასახელა. როგორია მისი შანსები?

– სანდრა რულოვსის აქტიურ პოლიტიკაში შემოსვლა, როგორც ჩანს, ცოლ-ქმარმა ერთხმად გადაწყვიტა. თუმცა, სანდრა რულოვსი პოლიტიკაში არის მას შემდეგ, რაც სააკაშვილი არის პოლიტიკაში. იმის თქმა, რომ მან ახლა მიიღო ეს გადაწყვეტილება, მთლად გულწრფელი არ არის. მართალია, თუ დეპუტატი გახდა, ეს იქნება მისი პირველი დეპუტატობა, მაგრამ მას მთელი ეს პერიპეტიები გამოვლილი აქვს. როგორც ჩანს, სხვა არგუმენტი მას არ აქვს.

– პასიურად არ მინდა, სახლში ვიჯდეო.

– დიახ, სწორედ ამას ვამბობ. ის იყო პოლიტიკაში და ბრუნდება, ყველაფერს თავისი სახელი რომ დავარქვათ. თავის დროზე ძალიან აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, რომ სანდრა რულოვსს სააკაშვილი საარჩევნო სიის პირველ ნომრად მოიაზრებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ვერ გაიტანა, ამ საკითხზე დაპირისპირებაც კი იყო გუნდში. ახლა მით უფრო სარწმუნოა ამ ხმების ნამდვილობა.

– თქვენ ამბობთ, რომ სააკაშვილმა ნაციონალურ მოძრაობაში ვერ გაიტანა ეს იდეა? ანუ სააკაშვილის პოზიციები ძლიერი არ არის გუნდში?

– ცხადია, ვერ გაიტანა, თორემ ახლა იქნებოდა რულოვსი სიის პირველი ნომერი. ნაციონალურ მოძრაობაში რამდენიმე დაჯგუფება არსებობს და ამის შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილია. ამ დაჯგუფებებს ერთმანეთთან მთლად რბილი დამოკიდებულება არ აქვთ.

– პარტიიდან წამოსვლის წინ ვაშაძემ ამაზე ისაუბრა კიდეც.

– დიახ. სანდრა რულოვსის სიის პირველი ნომრობა სააკაშვილის პირველ ნომრობას ნიშნავს, ისევე, როგორც ზუგდიდში მისი გამარჯვება ნიშნავს სააკაშვილის გამარჯვებას და, რაც ყველაზე მთავარია, პოზიციების შენარჩუნებას პარტიაში. თუ სანდრა რულოვსი პარლამენტის წევრი გახდება, მაშინ გუნდის შიგნით კიდევ ბევრი რამ გადათამაშდება და ამის ავტორი პირადად სააკაშვილი იქნება.

– რას გულისხმობთ?

– იმას, თუ ვინ იქნება, მაგალითად, პარტიის ხელმძღვანელი, რომელ გუნდს ექნება მეტი გავლენები და ა.შ. როგორც ჩანს, სააკაშვილი გათვლას აკეთებს 2020 წლისთვის. ის უკვე იწყებს მზადებას სწორედ 2020 წლისთვის. მას ეს არჩევნები დიდად არ აინტერესებს, 8 ოქტომბრის არჩევნები მას ტრამპლინად უნდა 2020 წლის არჩევნებისთვის. სააკაშვილმა მშვენივრად იცის, რომ ახლა მისი შემოსვლა ქართულ პოლიტიკაში ვერ მოხერხდება, ამიტომ ის მომავლისთვის ემზადება, ამისთვის კი ყველა რესურსს იყენებს, მათ შორის სანდრა რულოვსს. მიუხედავად იმისა, ვის რა დამოკიდებულება აქვს, პოლიტიკურად ეს სწორი სვლაა.

– საარჩევნო სიაში რომელი ნომერი იქნება რულოვსი?

– მე მაინც მგონია, რომ გამსვლელ სიაში იქნება.

– ანუ სიით დააზღვევენ?

– დიახ. სხვანაირად წარმოუდგენელია, რადგან სააკაშვილის აქტიური ხელი სწორედ სანდრა რულოვსი იქნება ქართულ პოლიტიკაში.

– რატომ მაინცდამაინც ზუგდიდი, მეგრული რომ იცის?

– სამეგრელოში „ქართულ ოცნებას“ ძლიერი ზურგი არ აქვს. მათ 2012 წელს ზუგდიდში წააგეს მაჟორიტარული არჩევნები. ასევე სხვა ფაქტორებიც მუშაობს, მეგრული ენის ცოდნაც არის ერთ-ერთი პიარ-ფაქტორი. ეტყობა, ყველაზე კონკურენტუნარიანად მათ სწორედ ზუგდიდი მიიჩნიეს. ზუგდიდში მაჟორიტარულ ოლქში ძალიან საინტერესო ბრძოლა იქნება. ტყუილად არ წარადგინეს ნაციონალებმა თავიანთი კანდიდატი კორცხელში. თუმცა, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ არ შედიან. ერთხელ დაიწყო სამეგრელოდან ნაციონალურმა მოძრაობამ ძლევამოსილი მარში, მაგრამ მეორედ, არა მგონია, იგივე სცენარი გამეორდეს. სხვა დროა და სხვა ვითარება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სანდრა რულოვსს გამარჯვების შანსი არ აქვს ზუგდიდში.

– ნაციონალური მოძრაობა კვლავ მთავარი ოპოზიციური ძალა იქნება პარლამენტში?

– თუ ისევ მთავარ ოპოზიციურ ძალად დარჩება ნაციონალური მოძრაობა, მაშინ მას რეალურად უჩნდება შანსი, რომ შემდეგ არჩევნებში კვლავ დაბრუნდეს ხელისუფლებაში, თუმცა მოსახლეობაში მეხსიერება მძაფრად ცოცხლობს. ხალხს აქვს შიში, რომ თუ ნაციონალები დაბრუნდებიან, გამეორდება იგივე, რაც იყო ანუ სახელმწიფო კვლავ გადაიქცევა მოძალადედ. ეს შიში ხალხში არსებობს, რის გაქარწყლებასაც ცდილობენ ახლა, მაგრამ დააგვიანეს და ეს 4 წელი იმის მტკიცებაში გაატარეს, რომ არათუ შეიცვალნენ, პირიქით, საერთოდ არ შეცვლილან. ეს არის მთავარი ფაქტორი, რაც ნაციონალებს ხელს უშლის, ზარ-ზეიმით დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. სანამ ხალხში იქნება განცდა, რომ ისინი მოძალადეები არიან, მანამ მათი ხელისუფლებაში არჩევნების გზით დაბრუნება შეუძლებელია.

ირაკლი მენაღარიშვილი: „საქართველოს სტრატეგიული არჩევანის გადახედვის საფუძველი არ არსებობს“

ინტერვიუ სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის თანათავმჯდომარე, საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ**ირაკლი მენაღარიშვილთან.**

– ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებდით ევროპასა და რუსეთს, ევროპასა და აშშ-ს შორის სადღეისოდ ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს? რამდენად საფუძვლიანია მტკიცება, რომ ევროპელ ლიდერებზე გაჭრა რუსეთის ბირთვული იარაღით ორწლიანმა ღია შანტაჟმა?

– დასავლეთი რუსეთს, როგორც ერთ-ერთ ბირთვულ ზესახელმწიფოს, ყოველთვის განსხვავებულად მიუდგება და შეეცდება, მასზე ზემოქმედების ინსტრუმენტები იმგვარი იყოს, რომ ამან მსოფლიო კატასტროფა არ გამოიწვიოს. თუმცა, მტკიცება იმისა, რომ რუსეთმა ბირთვული იარაღით შანტაჟით რაიმეს მიაღწია, საფუძველსაა მოკლებული.

დასავლეთი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს თუნდაც მინიმალურ დათმობაზე დაითანხმოს რუსეთი. მეორე მხრივ, ის სანქციები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ არის დაწესებული, თავის ეფექტს უკვე იძლევა იმგვარად, რომ რუსეთის ეკონომიკის წამყვანი ფიგურები განგაშს ტეხენ. მათი აზრით, თუ სიტუაცია არ შეიცვალა, უახლოეს წელიწადნახევარში შესაძლოა ვითარება კატასტროფული გახდეს.

ასე რომ, ჯერჯერობით, არც ერთი მხარე, არც დასავლეთი და არც რუსეთი, თვალის დახამხამებას არ აპირებს. ეს გახლავთ ნერვების ჭიდილი და ჩვენ იძულებული ვართ, გამოვიყენოთ ტრადიციული ფრაზა, რომელსაც ხშირად ვიყენებთ გაურკვეველ სიტუაციებში – ვნახოთ, რა მოხდება.

დასავლეთი ასე მარტივად პოზიციას არ დათმობს, იმიტომ, რომ აქ მხოლოდ უკრაინაზე არ არის საუბარი. საუბარია იმაზე, გააგრძელებს რუსეთი ახალი იმპერიული კონგლომერატის მშენებლობას, პოსტსაბჭოთა სივრცეზე დომინირების დამკვიდრებას, თუ გადახედავს თავის სტრატეგიას.

– პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი „ნორმანდიულ ფორმატში“ მიმდინარე მოლაპარაკებებში მონაწილეობას არ მიიღებს. კრემლმა კიევი ყირიმში დივერსიული აქტების ორგანიზებაში დაადანაშაულა. თუ კრემლმა რუსეთში საპარლამენტო არჩევნების დასრულების შემდეგ უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო, როგორი იქნება მასზე ბრიუსელისა და ვაშინგტონის პასუხი?

– რუსეთი ცდილობს, მანევრირებით თავი დააღწიოს იზოლაციას. ახლა განსაკუთრებული აქტივობა აქვს სამხრეთით, ახლო აღმოსავლეთის თეატრზეა კონცენტრირებული. ამით იგი ცდილობს, ყურადღება გადაიტანოს უკრაინის სცენიდან. თუმცა, ყველას კარგად ესმის, რომ მიუხედავად იმ საფრთხისა, რაც მსოფლიო მშვიდობასა და სტაბილურობას ახლო აღმოსავლეთიდან ემუქრება, უკრაინაში მიმდინარე პროცესები მხოლოდ უკრაინის ბედი არ გახლავთ.

რუსეთი შეეცდება, შეინარჩუნოს დაძაბულობა დონბასში და იმგვარი პროვოკაციებით, რომლებიც ყირიმთან დაკავშირებით გამოჩნდა რამდენიმე დღის წინ, როგორმე შეცვალოს ბალანსი. ალბათ, ფართომასშტაბიან შეტევას რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ასე მარტივად ვერ დაიწყებს, იმიტომ, რომ მისი ეკონომიკა მართლაც შეიძლება აღმოჩნდეს სრული კატასტროფის წინაშე.

ჯერჯერობით, ბატონ პუტინს იმედი აქვს, რომ დასავლეთის მოთმინების გამოცდის ლიმიტი ჯერ არ ამოწურულა, მაგრამ აქ უკვე მისი მოქმედება ძალიან საშიშ ზონაში შედის, როდესაც რაღაც ნაბიჯმა შეიძლება გამოიწვიოს სიტუაციის გართულება.

თქვენს ყურადღებას მივაქცევდი თვით მოსკოვში განვითარებულ მოვლენებსაც.

რუსეთის უმაღლეს სახელისუფლებო წრეებში გატარებული ცვლილებები მხოლოდ უბრალო ბიროკრატიული ფიგურების გადაადგილებას არ ჰგავს. ის მუდმივ ყურადღებასა და გულდასმით ანალიზს საჭიროებს.

– სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთის გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე მინიმალური იყო. რა ფაქტორებმა განაპირობეს ის, რომ კრემლის პოლიტიკა სირიის საკითხში რუსეთისთვის წარმატებული აღმოჩნდა?

– აქ გასათვალისწინებელია ის, რომ რუსეთმა უკვე მერამდენედ კარგად ისარგებლა სირიის საომარ სცენაზე განვითარებულ მოვლენებში მონაწილეთა შორის ერთსულოვნებისა და ერთიანი პოზიციის არქონით.

აქ განსხვავებული ინტერესები აქვთ თურქეთს, სუნიტურ ისლამურ სახელმწიფოებს – სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოებს, საუდის არაბეთს. დასავლეთს თავისი ხედვა აქვს იმისა, თუ როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები. ყველაფერს ამას რუსეთი, რომელსაც ასევე თავისი მიზანი აქვს, ახლო აღმოსავლეთში წარმატებით იყენებს.

– აშშ-მ თურქეთში მდებარე ინჯირლიკის ავიაბაზიდან ბირთვული იარაღის გატანა დაიწყო. რა საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო, თუ ანკარამ გააგრძელა ევროპასა და აშშ-სგან დისტანცირება და მოსკოვთან და თეირანთან დაახლოება?

– ინჯირლიკის ავიაბაზიდან ბირთვული იარაღის გატანის დაწყება ჯერ არავის დაუდასტურებია. ეს სენსაციური ცნობა მხოლოდ ერთი წყაროდან მოდის, რომელიც თავისთავად ორ დაუსახელებელ დამოუკიდებელ წყაროს ეყრდნობა.

მგონია, აჯობებს ჩვენ უფრო ფრთხილნი ვიყოთ შეფასებებში იმიტომ, რომ თურქეთიდან ბირთვული იარაღის გატანა მეტად მკვეთრი ნაბიჯია, იგი სერიოზულად ეხება სტრატეგიულ საკითხებს და მასზე გადაწყვეტილება, ალბათ, ასე მარტივი მისაღები არ იქნებოდა

ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, სადაც თითქოს უნდა გადაეტანათ ბირთვული იარაღი, ეს ფაქტი არ დაუდასტურებია არც აშშ-ს.

შორდება თუ არა ანკარა ვაშინგტონსა და ბრიუსელს?

სამხედრო ამბოხის ჩახშობის შემდეგ ანკარის მიერ გადადგმული ნაბიჯები დასავლეთისა და ამერიკის კრიტიკის საგანი გახდა, მაგრამ მე მაინც არ ვიჩქარებდი იმგვარი დასკვნის გაკეთებას, რომ თურქეთსა და დასავლეთს შორის არსებული ხიდი უკვე ჩატეხილია იმიტომ, რომ ამგვარი რეალობის აღიარება პრინციპულად უცვლის სტატუსს თვით თურქეთს. ალბათ, ამას გათვალისწინება სჭირდება და მე ეჭვი არ მეპარება, რომ ამას ანკარაში უდავოდ ითვალისწინებენ.

ყველაფერი, რაც თურქეთის ევროპული და ევროატლანტიკური სივრცისგან დისტანცირებას შეიძლება უკავშირდებოდეს, ჩვენი ინტერესების საწინააღმდეგოა

ჩვენ თავს მოვიაზრებთ სწორედ ამ სივრცის ნაწილად და ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიზანი ამ სივრცეში ჩვენი ინტეგრირებაა, ხოლო თურქეთი ჩვენი დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან ჩვენი ამგვარი მისწრაფებების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერია. ამ რეალობის შეცვლა საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებს უბრალოდ ეწინააღმდეგება.

– როგორი საგარეო პოლიტიკა იქნებოდა საქართველოსთვის ყველაზე ოპტიმალური და პრაგმატული?

– საქართველოს სტრატეგიული არჩევანის გადახედვის არავითარი საფუძველი არ არსებობს, მათ შორის, არც იმ დრამატული რყევების გამო, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება. ჩვენი ქვეყნის ინტერესებს დღეს ყველაზე უკეთ სწორედ ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსი პასუხობს და ამ კურსის მყარად დაცვა არის ჩვენი საზოგადოების, მთელი სახელმწიფოსა და მთელი სამხრეთ კავკასიის ინტერესებშიც.

– საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე

გაგრძელება მე-5 გვერდზე

პეტრე მამრაძე: „შეგახსენებთ, რომ გირჩის ნაცებისგან გამოყოფა ივანიშვილმა დადებითად შეაფასა“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** „ახალ თაობასთან“ აანალიზებს წვრილ-წვრილი პარტიების გაერთიანების გარემოებებსა და მოტივებს.

– ბატონო პეტრე, თუ მოელოდით, რომ პაატა ბურჭულაძე გირჩთან, ახალ მემარჯვენეებთან და ვაშაძესთან დაიჭერდა საქმეს?

– ნამდვილად მოველოდი.

– რატომ მოელოდით?

– მაინცდამაინც ნაცმოძრაობასთან დაიჭერდა საქმეს-მეთქი, ამას ვერ დავიბრალებ, მაგრამ ვაცხადებდი, რომ მოწმენი გავხდებოდით საარჩევნოდ რეგისტრირებული 30-მდე პარტიისაგან არჩევნებამდე ნებისმიერი მოზაიკის შექმნის, ვინაიდან არცერთ მათგანს არავითარი პოლიტიკური იდეები, პრინციპები, პროგრამები რეალურად არ აღელვებს.

ამის მაგალითი იყო 2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ახალი მემარჯვენეების გაერთიანება კახა კუკავას პარტიასთან. პოლიტიკური ანეკდოტი და კურიოზია ის, რომ მემარჯვენეების მთავარი მიზანია ნატოში შესვლა, შესაბამისად, რუსეთთან კონფრონტაცია. კუკავა კი ღიად აცხადებდა, რომ მისი მთავარი მიზანია, საქართველო არ შევიდეს ნატოში და ყველაფერი გააკეთოს რუსეთთან ურთიერთობის აღსადგენად. წარმოიდგინეთ ქვეყანა, სადაც ორი პარტია შეიძლება გაერთიანდეს პოლარული მოწოდებებით, იმის იმედით, რომ ერთად თუ იქნებიან, უფრო მეტ ხმას მიიღებენ.

– რატომ ხდება ასეთი რადიკალურად განსხვავებული პარტიების გაერთიანება?

– საქართველოში დღემდე ადამიანები ხმას აძლევენ ცნობად სახეებს მათი ტელეგენურობის მიხედვით. ამიტომ ლიდერები მსჯელობენ, შენ თუ გაძლევს ხმას, ვთქვათ, 4%, ერთად ყოფნის შემთხვევაში 7%-ს მივიღებთ.

– ისეთი რიხით შემოვიდა ბურჭულაძე პოლიტიკაში, შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ ბიძინა ივანიშვილს მეტოქეობდა, აკრიტიკიკებდა კიდეც მას. რა პროცენტები მოემატება ისეთი ბურჭულაძეს, რის გამოც ღირდა ასეთი გაერთიანება?

– სულ იმას ანგარიშობენ, ეგებ ერთად 5% გადავლახოთ და ეს ბიზნესად ქცეული პოლიტიკანობა გავაგრძელოთო, თანაც ბურჭულაძის პარტიაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაიწყო კრიზისი. თავიდან იყო საკმაოდ სწრაფი გაფართოება, მიუხედავად უსუსური, ალოგიკური და წინააღმდეგობრივი განცხადებებისა. ფიქრობდნენ, პოლიტიკაში მოვიდა გაუსვრელი ადამიანი, პოპულარული კაცი, რომელმაც გვასახელა მსოფლიო საოპერო სცენებზე და ქართულ საქმეს გააკეთებსო.

ჩვენს ხალხს ხელოვანი უყვარს. ეს ძალიან კარგი თვისებაა ჩვენი ხალხისა. ამ ფაქტორმა იმუშავა. თუმცა, ახლა ვიგებთ, რომ ტოვებენ პარტიას, რადგან არ მიუღიათ დაპირებული ხელფასი. როგორია, ადამიანმა მთელი თავისი ენერგია მოახმაროს პარტიას და კაპიკი არ მიიღოს ამაში? ოჯახი ხომ უნდა არჩინოს.

ამასობაში ვიგებთ, რომ ბურჭულაძე და მისი ცოლი 7-ვარსკვლავიან სასტუმროებში ატარებენ დროს ახლა, როდესაც ყოველი დღე ძალიან მნიშვნელოვანია არჩევნებისთვის.

– თქვეს, ბურჭულაძე საკაკაშვილს შეხვდა ჟენევაშიო.

– კი, მაგრამ ეს უკვე ჩემთვის პირადად არც არის საინტერესო. არ ვფიქრობ, რომ ამით მაინცდამაინც პრონატიონალური დამოკიდებულება გამომაჟღავნა. ეძებენ კონფიგურაციას, რომ ერთად გადარჩნენ. ბურჭულაძე ნაციონალებთან რომ იქნებოდა, თავიდანვე ცხადი იყო, მისი განცხადებებიდან გამომდინარე.

– კერძოდ?

– მან თავიდანვე განაცხადა, არავის დავიჭერო. მე, მაგალითად, იმას გამოვაცხადებდი, რომ „ოცნებამ“ სამართლიანობა არ აღადგინა, სამართალმა პური არ ჭამა. ახლა რომ დავიწყო ლაპარაკი იმაზე, „ოცნებამ“ რა არ გამოიძია, დილამდე არ დავამთავრებ. ბურჭულაძემ კი განაცხადა, არავითარი დაჭერებიო ანუ ეს იყო გზავნილი, ნაცებს არ შევეხებიო. სადმე წაიკითხეთ ბურჭულაძის მხრიდან საკაკაშვილის მწვავე, რადიკალური კრიტიკა? არა. ბურჭულაძე ვერ წაართმევს ნაცებს ხმებს. მათ თავიანთი მყარი ამომრჩეველი ჰყავთ – 10%. შეიძლება, „ოცნებას“ წაართვას რაღაც პროცენტი, მაგრამ ეს არ მოუტანს მას დამატებით ქულებს.

– ბურჭულაძე ნაცებთანაა?

– ნაცებში არ ვგულისხმობ არც გირჩსა და არც ვაშაძეს. საკუთრივ ნაცების ბირთვი მიიღებს 10%-ს, თუმცა, თუ არჩევნებზე მხოლოდ ამომრჩევლის 40% მივა, მაშინ ნაცები 25%-ს მიიღებენ. ასე მიიღო დავით ბაქრაძემ 26 თუ 23% (როგორც საპრეზიდენტო კანდიდატმა). ნაცების ამომრჩეველი გირჩსა და ვაშაძეს უყურებს, როგორც მოღალატეებს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ძალიან ხეირობდნენ ნაცისტების ხელისუფლებაში ყოფნით. გირჩმა შეიძლება მიიღოს ძალიან ცოტა ხმა ახალგაზრდების ფენაში.

– ზოგადად, რას მოგვცემს ასეთი წინასაარჩევნო გადაადგილებები, ბლოკების შექმნა?

– ცოტას შეცვლის. რიგით ადამიანს, რომელიც თავისი ყოველდღიური საქმიანობით შორსაა პოლიტიკისაგან, გამსხვილება არჩევანის ადვილად გაკეთების საშუალებას მისცემს.

– ვისი ხელი ურევია ბურჭულაძის, გირჩისა და ვაშაძის გაერთიანებაში? ითქვა, რომ საკაკაშვილთან იყვნენ შეხვედრაზე და ბურჭულაძემ საკაკაშვილის დავალება შეასრულა. ნაცები, როგორც ყოველთვის, ბიძინა ივანიშვილისკენ იშვერენ ხელს. ამ დროს თავიდანვე ნაცმოძრაობის გათეთრება ხომ არ იყო დაგეგმილი?

– ბურჭულაძესთან დაკავშირებით მაშინვე დაისვა კითხვა, ფული საიდან ჰქონდა. ამას ნაცებიც ამბობდნენ. ბურჭულაძე თავის ფულს არ დახარჯავდა, საარჩევნო კამპანიას კი საკმაო თანხები სჭირდება. გირჩთან დაკავშირებით შეგახსენებთ, ივანიშვილი როგორ მიესალმა გირჩის შექმნას თავისი განცხადებით.

– თუმცა, ცნობილია, გირჩის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ხაჩიძე, როგორ ეუზრდელებოდა ბიძინა ივანიშვილს.

– მიუხედავად ამისა, მათი ნაცებისაგან გამოყოფის ფაქტი ბატონმა ბიძინამ ძალიან დადებითად შეაფასა.

– ალბათ, ნაცმოძრაობის დაშლის პროცესად მიიჩნია.

– ივანიშვილის ამ განცხადების შემდეგ დაიბეჭდა სტატისტიკა, რომლის თანახმად, ყველაზე დიდი დაფინანსება იმ პერიოდში გირჩმა მიიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ ივანიშვილის პოზიტიური შეფასების შემდეგ ბიზნესმენებმა მიიღეს გარანტია, რომ შეიძლება გირჩს გადაურიცხონ ფული და არ დაისჯებიან.

– ხალხი როგორ ხვდება ამგვარ პოლიტიკურ სახეცვლილებებს?

– ხალხი ზიზღით უყურებს ამ პოლიტიკურ თამაშებს – პოლიტიკურ განშორებებსა და გაერთიანებებს. ასეთ პოლიტიკანებს არაფერი ეშველებათ – ასე დაჯგუფდებიან თუ ისე დაჯგუფდებიან, ზღვარს გადალახავენ თუ ვერ გადალახავენ, მაინც ერთ დონეზე რჩებიან. არავითარი ძალა არ არსებობს, რომელსაც დღეს შეუძლია, დარაზმოს ხალხი, მისცეს იმედი და დააჯეროს ხალხი იმაში, რომ ჩაატარებენ რეფორმებს და გააკეთებენ იმას, რაც საჭიროა ქვეყანაში. „ოცნება“ გამოირჩევა თავისი ადმინისტრაციული და ფულადი რესურსებით. ამიტომ ამ ფონზე „ოცნებას“ უკეთესი შანსი აქვს.

– ისე, თუ ბიძინა ივანიშვილის პირობებში ვერ გახდა შესაძლებელი მთლიანად მათი დაპირებების შესრულება, ბურჭულაძემ ან სხვა ვინმემ რა უნდა გააკეთოს?

– არც არაფერი. განსხვავება ისაა, რომ ივანიშვილი ალალად ამბობს, არ ვარ პოლიტიკოსი და არც მინდა ვიყო პოლიტიკოსიო. არადა, რეფორმების ჩატარებას სწორედ თავგანწირული პოლიტიკოსი სჭირდება. „ოცნებაში“ იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს პოლიტიკოსს უწოდებდნენ. არცერთმა მათგანმა რეფორმები არ წამოიწყო. მითხარით, ალასანიამ, ბურჭულაძემ და სხვებმა რა უნდა გააკეთონ!

ლაგოდეხში 24 წლის მამაკაცი დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა

ლაგოდეხში 24 წლის მამაკაცი, სავარაუდოდ, დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, მამაკაცი სახლში სამსახურიდან დაბრუნებულმა ოჯახის წევრებმა აღმოაჩინეს. მამაკაცი ლაგოდეხის კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მეზობლები აცხადებენ, რომ ახალგაზრდა მამაკაცი სახლში მარტო იმყოფებოდა და სასწრაფო მხოლოდ მას შემდეგ მივიდა, რაც ის ოჯახის წევრებმა გამოიძახეს. გარდაცვლილის მეზობლების თქმით, მამაკაცს თვითმკვლელობის მიზეზი არ ჰქონდა და ისინი გარდაცვალების მიზეზად უბედურ შემთხვევას ასახელებენ. მათი თქმით, ახალგაზრდა მამაკაცს შესაძლოა დენმა დაარტყა.

გამოძიება აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

მოკვლევას კახეთის პოლიციის სამმართველო აწარმოებს.

ჯარისკაცი ყარაულში გარდაცვლილი იპოვეს

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საყარაულო განაწესის გეგმური შეცვლისას რიგითი მერაბ ჭაჭიაშვილი გარდაიცვლილი იპოვეს.

თავდაცვის სამინისტრო რიგითი მერაბ ჭაჭიაშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

– რიგითი მერაბ ჭაჭიაშვილი, 18 აგვისტოს საყარაულო განაწესის გეგმიური შეცვლისას უგონო მდგომარეობაში აღმოაჩინეს და დაუყოვნებლივ გადაიყვანეს ქუთაისის რეფერალურ საავადმყოფოში. რიგითი საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

ექიმების განცხადებით, მისი მდგომარეობა კრიტიკულად მძიმე იყო. ჩატარებული ექსპერტიზის პირველადი მონაცემებით, გარდაცვალების სავარაუდო მიზეზი ტვინში არატრავმული სისხლჩაქცევა გახდა.

გარეგნული დათვალიერებით, სხეულს ფიზიკური დაზიანების კვალი არ აღენიშნებოდა.

საქმე აღძრულია სსკ 116-ე მუხლის 1 ნაწილით. საქმეს იძიებს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი.

რიგითი მერაბ გიორგის ჭაჭიაშვილი სავალდებულო სამხედრო სამსახურში მიმდინარე წლის ივნისის თვეში გაიწვიეს და სავალდებულო სამსახურს საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შენახვის ბაზაზე გადიოდა.

– საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს რიგითი მერაბ ჭაჭიაშვილის გარდაცვალების გამო და დაკრძალვის ხარჯებს სრულად დაფარავს, – ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

ირაკლი მენაღარიშვილი: „საქართველოს სტრატეგიული არჩევანის გადახედვის საფუძველი არ არსებობს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

სუბიექტებმა გააააქტიურეს საუბარი საქართველოს უბლოკო სტატუსსა და რუსეთთან მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ დაწყებაზე. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ თემაზე დაწყებულ დისკუსიას?

– პასუხი აქ საკმაოდ მარტივი და ერთმნიშვნელოვანია. შემოთავაზებული იდეა, საქართველოს უბლოკო თუ ნეიტრალური სტატუსის შესახებ, სულაც არ გახლავთ ახალი. ეს გახლდათ დისკუსიის და მწვავე კამათის თემა 90-იან წლებში.

თავის დროზე სწორედ ამ დისკუსიის ჩარჩოში დაიბადა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული არჩევანი, რომელსაც საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ეწოდა.

უკვე მოგახსენეთ, რომ მისი შეცვლის არავითარი საფუძველი უბრალოდ არ არსებობს. მას შემდეგ საქართველომ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიზნისკენ საკმაო გზა გაიარა. შესაბამისად, დღეს უბლოკო სტატუსის იდეის განხილვის კვლავ დაწყება სრული ნონსენსია.

მე მხოლოდ ერთ არგუმენტს მივაქცევდი თქვენს ყურადღებას. ყველამ, ვისაც თუნდაც ელემენტარული წარმოდგენა მაინც აქვს საერთაშორისო ურთიერთობების ძირეულ საკითხებზე, კარგად იცის, რომ მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ნეიტრალიტეტის წარმატებული პროექტი, თუკი სახელმწიფო და მისი გარემომცველი არეალი რამდენიმე აუცილებელ პირობას არ პასუხობს.

საქართველოს შემთხვევაში თითქმის არც ერთი ამგვარი პირობა არ არსებობს. ამ პირობათაგან ერთი უმთავრესი კეთილგანწყობილი, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მტკიცედ შენარჩუნებით დაინტერესებული სამეზობლოს არსებობაა.

რამდენად პასუხობს ამგვარად განწყობილი მეზობლის როლს რუსეთი, რომელსაც ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული და ამასთან, თავის სტრატეგიულ მიზნად საქართველოს იმ პოლიტიკურ კონსტრუქციაში ინკორპორაცია აქვს გამოცხადებული, რასაც საბჭოთა იმპერიის ნაცვლად აშენებს?

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, თუ რა ფასი აქვს რუსეთის მიერ მიცემულ გარანტიებს, რაც შესანიშნავად გამოჩნდა უკრაინის ბირთვული არსენალის რუსეთისათვის გადაცემის პროცესში კიევისთვის ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტირებისას, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში გონიერ და კეთილსინდისიერ დამკვირვებელს შეკითხვა არ უნდა უჩნდებოდეს.

– მიუხედავად ამისა, დემოკრატიული მოძრაობა აპირებს დაიწყოს იმათი ხელმოწერების შეგროვება, ვისაც სურს, რომ საქართველოს უბლოკო სტატუსი ჰქონდეს. თუ ხელმომწერთა რაოდენობა დიდი იქნება, თქვენ ამას რის ნიშნად ჩათვლიდით?

– გამორიცხულია, ეს იყოს ის რაოდენობა, რომელმაც ერსა და სახელმწიფოს არჩევანი შეიძლება შეაცვლევინოს, მაგრამ თუკი მათი რაოდენობა საკმაოდ დიდი იქნება, ეს ნიშნავს, რომ ყველა ჩვენგანის ამოცანა გახლავთ, ამ ადამიანებს კარგად აუხსნან, რაზე აწერენ ხელს.

როგორც ეტყობა, საზოგადოების ერთ ნაწილში ამ საკითხების თაობაზე არ არის საკმარისი ცოდნა და ამის კარგად ახსნაა საჭირო.

ინტერპრესნიუსი

თურქეთში ავარიის გამო საქართველოს მოქალაქე დაიღუპა

თურქეთში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად საქართველოს ერთი მოქალაქე გარდაიცვალა.

აღნიშნული ინფორმაცია სააგენტო „ნიუსპრესს“ საგარეო საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს.

შუახნის ქალი თურქეთში სამუშაოდ იმყოფებოდა.

უახლოეს მომავალში მისი სამშობლოში გადმოსვენება მოხდება. მანამდე კი საქართველოს საკონსულო ყველა შესაბამის მოქმედებაშია ჩართული.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

მანუჩარ მაჩაიძე კენჭს მეჭიაურის პარტიის სახელით იყრის

მარიამ მჭედლიშვილი

„ბურჭულაძის ბლოკი ხელისუფლებაში ვერ მოვა“

„პარლამენტში ყველა პროფესიის წარმომადგენელი შეიძლება იყოს“

წინასაარჩევნო მოვლენებზე „ახალი თაობა“ დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატ **მანუჩარ მაჩაიძეს** ესაუბრა.

– როგორ შეიძლება შეფასდეს ახალი გაერთიანების შექმნა პაატა ბურჭულაძის გარშემო? მისი ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე აცხადებს, რომ ეს ბლოკი ხელისუფლებაში მოვა.

– ეს წინასაარჩევნო თავდაჯერებული განცხადებაა. ის შორსაა რეალობისაგან. ბურჭულაძის ბლოკი ვერაფრით ვერ მოვა ხელისუფლებაში.

– ეს ახალი ბლოკი ნაციონალებს წაართმევს ხმებს?

– ალბათ, ამ ადამიანებს სწორედ ნაციონალებთან მოუწევთ ბრძოლა. შესაძლოა, ეს ძალები ერთი ცენტრიდან იმართებოდნენ, მაგრამ არჩევნებში ისინი ერთმანეთს შეეცილებიან. პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში ისინი აუცილებლად გაერთიანდებიან.

– და უმრავლესობას შექმნიან?

– არა, უმრავლესობას ვერ შექმნიან. ნაცმოძრაობის წარმომადგენლობა და ბურჭულაძის ხალხი პარლამენტში ერთად იქნება და ერთ გუნდად ჩამოყალიბდება. პარლამენტში უმრავლესობას ისინი მაინც ვერ ჩამოაყალიბებენ. ამ ადამიანებს საერთო იდეოლოგია აქვთ. ამომრჩევლის დიდი ნაწილი ნაციონალების იდეოლოგიას არ იზიარებს და ასეთ ხალხს დიდი რაოდენობით არ აირჩევს.

– „ქართული ოცნება“ არ ჩქარობს საარჩევნო სიის გამოქვეყნებას, მაგრამ უკვე დაასახელა მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატები. მათზე რისი თქმა შეიძლება?

– ამაზე მსჯელობა და კამათი ატყდა. დაიწყო საუბარი იმაზე, თუ ვინ უნდა შევიდეს პარლამენტში და ვინ – არა. არსებობს აზრი, რომ მსახიობი და სპორტსმენი პარლამენტს არ უნდა გაეკაროს და იქ იურისტები უნდა საქმიანობდნენ. ბოლო 20 წლის განმავლობაში იურისტებმა უამრავი კანონი შექმნეს. ამ კანონების უმრავლესობა არაა სრულყოფილი. ამ იურისტებმა ქვეყანას ვერ უშველეს. პარლამენტი წარმომადგენლობითი ორგანოა და მისი წევრობის უფლება ყველას აქვს, თუ ხალხმა მხარი დაუჭირა.

– მარტო მსახიობებსა და სპორტსმენებშიც არაა საქმე. ხანდახან კანდიდატად ასახელებენ ისეთ პირს, თუნდაც იურისტს, რომელსაც პოლიტიკაში მოსვლა არც უფიქრია. ასე მოხდა „ქართული ოცნების“ ახალი სახეების წარდგენის შემთხვევაშიც.

– სხვადასხვა პროფესიის კანდიდატებად წარდგენა, ზოგადად, დემოკრატიული პროცესია. ეს ხდება ბევრ ქვეყანაში. ბოლო დროს ჩვენში ახალ სახეებზე და ახალგაზრდებზე გადაჭარბებული ყურადღებაა გადატანილი. სპორტი ხომ არ არის, რომ გუნდი გააახალგაზრდავონ! გადახალისებაზე ამხელა აქცენტის გაკეთება გაუგებარია. პოლიტიკაში გამოცდილი პოლიტიკოსები აუცილებლად უნდა იყვნენ.

ცნობილი პოლიტიკოსების განვლილი გზა ცნობილია და ხალხი ამის მიხედვით აკეთებს არჩევანს. პოლიტიკოსების უარყოფა არ შეიძლება. გამოცდილება რაღაცას ხომ ნიშნავს! დღევანდელ პარლამენტში აღარ არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც წვლილი აქვთ შეტანილი ქვეყნის დამოუკიდებლობაში. ეს სწორი არ არის. ეს პოლიტიკოსები სულ ჩამოაშორეს პოლიტიკას.

– თქვენ აპირებთ კენჭისყრას?

– დიახ, თამაზ მეჭიაურის პარტიის სახელით. ამ ახალ პარტიაში არ შევსულვარ. მისი მხარდამჭერი ვარ. კენჭს ნაძალადევის ერთ-ერთ უბანზე, თემქაზე ვიყრი. ეს პარტია შესაბამის პროცედურებს გაივლის, ყრილობას ჩაატარებს და დავიწყებთ წინასაარჩევნო კამპანიას.

– რამდენიმე დღის წინ თამაზ მეჭიაურს რამდენიმე პარტია შეუერთდა. ბლოკი კიდევ გაფართოვდება?

– რამდენიმე პარტია მართლაც გაერთიანდა. შემდგომ გაფართოებაზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი. ამაზე კონსულტაციები მიმდინარეობს.

– არსებობს ინფორმაცია იმაზე, რომ „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალებს შორის ახალი გარიგებაა.

– ბევრი ყოფილი ნაციონალი ახლა „ოცნების“ რიგებშია. ერთი მხრივ, პარტიის შეცვლაში განსაკუთრებული არაფერია. მეორე მხრივ, ნაცმოძრაობის იდეოლოგია განსხვავდება „ქართული ოცნების“ იდეოლოგიისგან და ასეთი გადასვლა-გადმოსვლები გასაგები არ არის. საბოლოო ჯამში, ალბათ, ძალიან მკაცრად არ უნდა შევაფასოთ ის ადამიანი, რომელიც ადრე ნაცმოძრაობის წევრი იყო.

– საუბარია გარიგებაზე, რომლის მიხედვითაც ახალ პარლამენტში მანდატების გადანაწილება ხდება.

– ვფიქრობ, რომ ასეთი რამე ვერ დაიმალება. ამას იმდენად ცუდი შედეგები მოჰყვება, რომ ვერც განხორციელდება. ბოლოს და ბოლოს, დადგა დრო, რომ ქვეყანაში ჩატარდეს მეტ-ნაკლებად სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები. იმედი მაქვს, ასეთი არჩევნები ჩატარდება კიდეც. გარიგების სურვილი შეიძლება გარკვეულ პირებს ჰქონდეთ, მაგრამ ეს არ გამოვა.

დეპუტატის იმუნიტეტთან ერთად ბიზნესინტერესების არსებობა კორუფციის საფუძველია

სოსო ზაალიშვილი

საპარლამენტო არჩევნების თარიღის მოახლოებასთან ერთად, საქართველოს პოლიტიკურ სუბიექტებს ახალი თავსატკივარი გაუჩნდათ. არჩევნების პროცესი ყველა ქვეყანაში ფინანსურ სახსრებთანაა დაკავშირებული.

შესაძლოა პოლიტიკოსს საკმაოდ მაღალი რეიტინგი და ცნობადობა ჰქონდეს, მაგრამ ფინანსების არქონის შემთხვევაში, წარმატების მიღწევა გაუჭირდება. საარჩევნო შტაბი, საზოგადოებასთან ურთიერთობის და სარეკლამო კამპანიის ორგანიზება, ოფისების გახსნა, იურისტები, საარჩევნო კომისიებში წევრებისა და დამკვირვებლების შენახვა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

2011 წელს ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენას დადებითი ეფექტი მოყვა და ეს მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლის შანსის გაჩენა არ გახლდათ. რა თქმა უნდა, ავტორიტარული მმართველობის შეცვლა იმ პერიოდში მოსახლეობას ყველაზე მეტად ადარდებდა, თუმცა სპეციალისტები თვლიდნენ, რომ ახალი, ფინანსურად ძლიერი პოლიტიკური ძალის გამოჩენა ბაზარზე კონკურენტუნარიანობას გააჩენდა. მართლაც ასე მოხდა.

ივანიშვილმა მხოლოდ არჩევნების პერიოდში, საკუთარ პოლიტიკურ გუნდში უამრავი ადამიანის დასაქმება შეძლო.

პოლიტიკურმა ბლოკმა „ქართულმა ოცნებამ“ ათეულ ათასი ადამიანისათვის დროებითი სამუშაო ადგილი შექმნა. მათ რიგებში იყვნენ პოლიტიკოსები, იურისტები, ჟურნალისტები და სოციოლოგები.

არჩევნებს, ისევე, როგორც სხვა საქმიანობას, რომელიც დიდ ფულთანაა დაკავშირებული, აუცილებლად მოყვება საარჩევნო კაპიტალის წარმომავლობის გათეთრების პროცესი.

2012 წელს სააკაშვილის ხელისუფლების ძალისმიერმა სტრუქტურებმა ივანიშვილის ბიზნესსტრუქტურის შემოწმება დაიწყეს. „ქართული ოცნების“ ლიდერის მიერ დაფუძნებული ბანკი „ქართუ“ დაავჯარიმეს, ანგარიშები დაუყადაღეს, რითიც აიძულებდნენ მას, პოლიტიკური ორგანიზაციის დასაფინანსებლად იმ დროისათვის აკრძალული მეთოდები გამოეყენებინათ. მაშინ „ქართულმა ოცნების“ იურისტებმა შეძლეს მოეძებნათ საარჩევნო კამპანიის დაფინანსების ისეთი ფორმა, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგებოდა.

შესაძლოა „ქართული ოცნების“ იურისტებმა ასეთ მეთოდს მიმართეს, უცხოეთის ბანკებიდან, ამავე ბანკების საკრედიტო ბარათებზე საქართველოს მოქალაქეებს ერიცხებოდათ კანონით დაშვებული თანხა, რომელსაც შემდეგ ისინი სწირავდნენ „ქართულ ოცნებას“. იმ პერიოდში საქართველოს პროკურატურაში მრავალი საქმე აღიძრა „ქართული ოცნების“ აქტივისტების წინააღმდეგ ფულის გათეთრებასთან სავარაუდო კავშირის მუხლით. მაშინ „ქართულ ოცნებას“ რომ არ გაემარჯვა, ბევრ აქტივისტს ამ მუხლით გასამართლება ელოდა.

ხელისუფლებას იმ პერიოდში დაახლოებით იგივე პრობლემა შეექმნა, რაც 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუციის წინ შევარდნაძის მთავრობას.

სააკაშვილის მთავრობის წევრები და მის მიერ დაშანტაჟებული ბიზნესმენები საკუთარი ფულის ჩადებას პოლიტიკაში არ აპირებდნენ. ნაციონალური მოძრაობა საბიუჯეტო თანხების ამარა დარჩა. ბიუჯეტი კი, როგორც არ უნდა ატრიალო, ღია დოკუმენტია.

2016 წლის ახალმა საარჩევნო ციკლმა კვლავ გამოაცოცხლა მივიწყებული საქმიანობა. გაჩნდა ახალი პერსპექტივები. ამას, ერთი მხრივ, „ქართული ოცნების“ რღვევამ შეუწყო ხელი.

ხელისუფლებაში ნამყოფი დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტების წარმოჩენამ, საარჩევნო ბიზნესით დაკავებულებს ახალი შანსი გაუჩინათ, საკუთარი საქმიანობა განეახლებინათ.

თუ „ქართულ ოცნებას“ ყველაფერი უკვე ორგანიზებული აქვს და პარტნიორები უკვე შერჩეული ჰყავთ, სხვა მხრივ პოლიტიკური ბაზარი ცარიელია, მაგრამ ცარიელია ფულისგანაც.

პოლიტიკური სუბიექტები ცდილობენ დონორებისა და ინვესტორების მოძიებას. ჯერჯერობით თანხების პრობლემა მხოლოდ ორ ძალას არ აქვს, ეს „ქართული ოცნება“ და მისი ლიბერალური ოპოზიციაა.

„ოცნებას“ საკმაოდ დიდი ადმინისტრაციული რესურსი გააჩნია, ხოლო ლიბერალურ ოპოზიციას კი უცხოელი დონორები. თუმცა უცხოელი დონორები არა მარტო თანხის განკარგვის პროცესს აკვირდებიან და სწავლობენ, არამედ იმასაც უთითებენ, თუ სად, რომელ ორგანიზაციაში უნდა დაიხარჯოს საკუთრივ თანხა. აქედან გამომდინარე, ბაზრის ამ სეგმენტის ათვისება დამოუკიდებელი მეწარმისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია.

რაც შეეხება კონსერვატორულ ფრთას, დონორებისა და ინვესტიციების მოზიდვის პროცესი აქაც მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს.

მოგეხსენებათ, დიდი ფულის შოვნა საქართველოში შეუძლებელი იყო ხელისუფლებასთან გარკვეულ გარიგებაში შესვლის გარეშე. ხელისუფლებასთან გარიგებულებს კი, ამომრჩეველი აუცილებლად დააკისრებს პასუხისმგებლობას მათი ფულის დახმარებით ჩადენილი სისასტიკეების გამო. გამოდის, რომ ჩვენი ქვეყანა მოჯადოებულ წრეშია. ივანიშვილი ერთია, ის ვერ დააფინანსებს ყველა პოლიტიკურ პარტიას, ამის გამო მრავალი მათგანი განაწყენებულიცაა მასზე და ამას ღიად აცხადებს.

ისეთი ინვესტორისა და დონორის მოძიება კი, რომელიც ან შევარდნაძის, ან სააკაშვილის ხელისუფლებასთან არ თანამშრომლობდა, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამის გამო საარჩევნო სიებში სულ უფრო და უფრო მეტ ე.წ. „გასვრილ“, მაგრამ მდიდარ ბიზნესმენსა და პოლიტიკოსს ან ყოფილ ფუნქციონერს ვხვდებით.

ეს კი, ამომრჩეველში უარყოფით განცდას იწვევს. უარყოფითი დამოკიდებულება არჩევნების პროცესზე გადადის და თავად არჩევნების ჩატარებას აყენებს ეჭვქვეშ, რადგან წინასაარჩევნოდ ნიჰილიზმი მეტად იმატებს.

თუ 2003 და 2012 წლის არჩევნები საქართველოს შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმებისაგან გათავისუფლების იდეით მიმდინარეობდა და გაამართლა, დღეს ასეთი გამაერთიანებელი იდეა არ არსებობს.

ზოგიერთი პოლიტიკოსი ცდილობს ასეთი ერთიანი ეროვნული იდეის შექმნას, მაგალითად, ჰომოსექსუალური ოჯახების შექმნის წინააღმდეგ რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნით, ან კონსტიტუციაში ქვეყნისთვის უბლოკო, ან პირიქით, ბლოკიანი სტატუსის მინიჭების მუხლის ჩაწერით, მაგრამ დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერა ამ მოთხოვნებს არ აქვთ. ეს უფრო ამ პოლიტიკოსების მიერ ინვესტორებისათვის მათი არსებობისა და დაფინანსების აუცილობლობიდან გამომდინარეობს, ვიდრე საკუთრივ ქვეყნის ინტერესებზე ფიქრით ან მათი პოლიტიკური შეხედულებებიდან.

საარჩევნო კანონმდებლობა საქართველოში ნამდვილად დასახვეწია. ის საპარლამენტო სიაში და მაჟორიტარულ ოლქებში ადგილების გაყიდვის საშუალებას იძლევა. ამ ფულით კი პარტიები საკუთარ კამპანიას აფინანსებენ და საბოლოო ჯამში კი მივიღებთ კონფორმისტების, საკუთარი ბიზნესის ლობიერების ინტერესებით შეპყრობილ პარლამენტის წევრებს. ასეთი მრავალი მაგალითიც გვაქვს. ბიზნესინტერესების გატანა ლობისტთა და პოლიტიკოსთა საქმეა. ლობიზმის შესახებ კანონი ჩვენს ქვეყანაში 1998 წელს მიიღეს. შესაძლოა კანონი დასახვეწია, მაგრამ ბიზნესის ლობირება დაშვებულია.

ბიზნესმენთა გაპოლიტიკოსების მთავარი მიზანი არა საკანონმდებლო შემოქმედება, არამედ ხელშეუხებლობის გარანტიაა. დეპუტატის იმუნიტეტი და ამავდროულად ბიზნესინტერესების არსებობა კი კორუფციის საფუძველია. ამიტომ, პრაქტიკულად ყველა ორგანიზაცია, რომელიც ბიზნესმენს პოლიტიკისაკენ უხსნის გზას, შეგნებულად ან შეუგნებლად ქვეყანაში პოლიტიკურ კორუფციას უწყობს ხელს.

ჭაში ნაპოვნი მამაკაცი მოკლულია?

ფოთში, სასმელი წყლის ჭაში ნაპოვნი მამაკაცი, შესაძლოა, მოკლული იყოს. მომხდართან დაკავშირებით ახალი გარემოებების შესახებ ვრცელდება ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მამაკაცი ჯერ მოკლეს, შემდეგ კი ჭაში ჩააგდეს.

არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილს თავისა და კისრის არეში დაზიანებები აღენიშნება. როგორც გარდაცვლილის მეზობლები აცხადებენ, მამაკაცი, შესაძლოა, მისი მეგობარი ქალის ახლობლის მიერ, ეჭვიანობის ნიადაგზე იყოს მოკლული.

– სერგო მირცხულავა მარტო ცხოვრობდა, კარგი ბიჭი იყო, უბრალოდ მინუსი ის ჰქონდა, რომ გინება იცოდა. მოკლესო, ასე ითქვა. სადაც შემთხვევა მოხდა, იქ, ალბათ, მეტი ეცოდინებათ. შეიძლება, მეგობარი ქალის ახლობლებმა ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლეს, – აცხადებს გარდაცვლილის ერთ-ერთი მეზობელი.

სერგო მირცხულავას ცხედარი 18 აგვისტოს ფოთში, სასმელი წყლის ჭაში იპოვეს. მომხდარ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. გარდაცვლის ცხედარს ჩაუტარდა ექსპერტიზაც, თუმცა დასკვნა ჯერ ცნობილი არ არის.

ინტერპრესნიუსი

ყურძენი ხველებას შველის

ხველებას ბევრი მიზეზი იწვევს, პირველ რიგში – გაცივება და ალერგიული დაავადებები. მაგრამ ზოგჯერ შეტევითი ცხელების პროვოცირებას ახდენს ძლიერი სტრესი ან აღელვება.

ჩვენი წინაპრები ხველებას შველოდნენ სხვადასხვა ბალახითა და მცენარის ნაყოფით.

ევკალიპტის ეთეროვანი ზეთი ამშვიდებს ყელს, წმენდს მას ლორწოსგან, შველის თავის ტკივილსაც, რომელიც ხველებას თან სდევს. ინჰალაციისთვის – ცხელ წყალს დაამატეთ ევკალიპტის ზეთის რამდენიმე წვეთი. ისუნთქეთ და შვებას იგრძნობთ.

1. ვირისტერფას ნაყენს აქვს ამოსახველებელი ეფექტი და შველის ყელის ტკივილს: 1 ს/კ დაქუცმაცებულ ფოთოლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 15 წუთი და მიიღეთ თითო ს/კ ნაყენი დღეში 3-ჯერ.

2. შეურიეთ თანაბარი რაოდენობის ბოლოკისა და სტაფილოს წვენი და რძე და მიიღეთ თითო ს/კ 6-ჯერ დღეში.

3. შავი ბოლოკი ამოღრუტნეთ, ჩაასხით შიგ თაფლი და კუდით მოათავსეთ წყლიან ჭიქაში. გამოყოფილი წვენი (თითო ჩ/კ დღეში 4-6-ჯერ) დალიეთ. შემდეგ ხელახლა ჩაასხით თაფლი.

4. სურო იოდის, საპონინებისა და გლიკოზიდების წყალობით არა მარტო საუკეთესო ამოსახველებელი საშუალებაა, არამედ ხელს უშლის ხველების გამომწვევი ბაქტერიების გამრავლებას.

5. ყურძენი არა მარტო გემრიელია, არამედ სასარგებლოც. 1 ჭიქა ყურძნის წვენს დაამატეთ 1 ჩ/კ თაფლი და დალიეთ. წვენი გამოდევნის ორგანიზმიდან ნახველს.

6. 50 გ ფიჭვის წიწვი გარეცხეთ, დააქუცმაცეთ, დაასხით 200 გ ქაფქაფა მდუღარე წყალი და 2 საათი გააჩერეთ. გადაწურეთ და დალიეთ. ცე ვიტამინით მდიდარი წიწვის ნაყენი განსაკუთრებით სასარგებლოა ცივ ამინდში.

ალოე იმუნიტეტს აძლიერებს

დაქვეითებული იმუნიტეტი მრავალი დაავადების მიზეზი ხდება, ამიტომ მასზე ზრუნვა აუცილებელია, განსაკუთრებით ზამთრის წინ. პროფილაქტიკისთვის შეგიძლიათ მცენარეული საშუალებები გამოიყენოთ. ამჯერად ალოეს დადებით თვისებებს გაგაცნობთ.

ალოე სამკურნალო მცენარეების იმ უმცირესობას მიეკუთვნება, რომლებიც მთელი წელი ხელთ გვაქვს. ხალხში მას ასწლოვანას უწოდებენ. უძველესი დროიდან იარების მოსაშუშებლად და კანის დაავადებების სამკურნალოდ იყენებდნენ, თუმცა მისი სამკურნალო თვისებები ამით არ შემოიფარგლება.

იმუნიტეტის ასამაღლებლად და კენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ კარგია ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული ალოეს ფოთლებისა და თაფლის ნარევი (თანაბარი რაოდენობით). ნარევი დღეში 3-ჯერ, 1 სუფრის კოვზი მიიღეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, თან 0,5 ჭიქა თბილი, ანადუღარი წყალი დააყოლეთ. კურსი – 3 კვირა. ათდღიანი შესვენების შემდეგ პროცედურა გაიმეორეთ.

ადრე მიიჩნევდნენ, რომ სამკურნალო თვისებები მხოლოდ ალოეს სამწლოვან ფოთლებს ჰქონდა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასეთივე ეფექტს ახალი ყლორტებიც იძლევა. დღეს ალოეს წვენს პროფილაქტიკური მიზნით ბევრი იღებს. ჯანმრთელი ადამიანებიც კი ყოველ დილით 1 სუფრის კოვზ ალოესა და ხილის წვენის ნარევს მიირთმევენ, მაგრამ ფრთხილად იყავით, მის პრეპარატებს უკუჩვენება აქვს ორსულობის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის დაავადებების, სისხლდენების, ცისტიტის და ბუასილის დროს.

პოლ-პალა მიჩნეულია უნიკალურ სამკურნალო მცენარედ

პოლ-პალა მიჩნეულია უნიკალურ სამკურნალო მცენარედ. პოლ-პალას ნახარში ძლიერი შარდმდენია, თირკმლებში შლის კენჭებსა და გამოდევნის ორგანიზმიდან, ამ დროს თირკმლები სწრაფად და უმტკივნეულოდ იწმინდება და იწყებს ნორმალურ მუშაობას. პოლ-პალას ოდითგანვე იყენებენ პოდაგრის, პოლიართრიტის და სპონდოლიზის, პროსტატიტის სამკურნალოდ. როგორც მარილების გამომდევნი და ანთებსაწინააღმდეგო საშუალება – რეკომენდებულია პიელონეფრიტის, შარდკენჭოვანი დაავადებების, ცისტიტისა და ურეთრიტის სამკურნალოდ.

ეს უნიკალური მცენარე კურნავს ღვიძლს, კუჭს, ხელს უწყობს წყლულების შეხორცებას, ფიბრომიომების გაწოვას, აწესრიგებს მენსტრუალურ ციკლს, აქვეითებს სისხლის შედედების ფუნქციას, რითაც ხელს უშლის სისხლძარღვებში თრომბების წარმოქმნას. პოლ-პალა მდიდარია გულის კუნთებისთვის აუცილებელი ელემენტით – კალიუმით.

გარდა ამისა, ეს მცენარე ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს მეხსიერებას, აფერხებს ათეროსკლეროზის განვითარებას, აქვს ანტიბაქტერიული მოქმედება, რეკომენდებულია ბრონქიტისა და ტრაქეიტის, გაცივების დროს. პოლ-პალას ნახარშში დასველებული საფენები შველის ფურუნკულებსა და კანის ჩირქოვან გამონაყარს.

მიუხედავად იმისა, რომ პოლ-პალას უკუჩვენება არა აქვს, სასურველია, მკურნალობის დაწყებამდე მიმართოთ მკურნალ ფიტოთერაპევტს.

გთავაზობთ ნაყენის რეცეპტს:

1ს/კ დაქუცმაცებულ ბალახს დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე წყალი. 15 წუთი გააჩერეთ წყლის ორთქლზე, შემდეგ გააგრილეთ და კარგად გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ნაყენი 2-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე – საწრუპავი მილით, რათა კბილების მინანქარი არ დაზიანდეს. მკურნალობის დროს მენიუდან გამორიცხეთ ალკოჰოლი, ცხარე და მჟავე საკვები. მკურნალობის კურსია – 10-20 დღე. შეისვენეთ 6 თვე და ისევ გაიმეორეთ.

სიმინდის ულვაში — შარდკენჭოვანი დაავადებების წამალი

სიმინდის ულვაში ნედლ მდგომარეობაში ოქროსფერ-ყვითელია. ის ტაროს მარცვლებს რძისებრი სიმწიფის ხანაში, სექტემბერ-ოქტომბერში უნდა მოვაცილოთ. ნედლელული უნდა გავშალოთ თხელ ფენად და გავაშროთ ჩრდილში. მისი შენახვა შეიძლება მშრალ ადგილას, მხოლო ხუთ-ექვს თვემდე, შემდეგ უვარგისი ხდება.

სიმინდის ულვაში ცხიმს, ცე, კა ვიტამინს, საპონინებს და სხვა შეიცავს. იხმარება, როგორც შარდმდენი სასუალება, შარდკენჭოვანი დაავადების, ნაღვლის ბუშტის სადინარებისა და ღვიძლის დაავადებების დროს. აქვს სისხლდენის შეჩერების უნარი.

ნაყენის მოსამზადებლად, 1 ჩაის კოვზ დაჭრილ სიმინდის ულვაშს დავასხათ 1 ჭიქა წყალი, წამოვადუღოთ, გავწუროთ და ვსვათ სისტემეტურად, როგორც ჩაი, დღეში 4-6-ჯერ, თითო სუფრის კოვზი. შარდის გამოყოფა ბევრად გაძლიერდება.

სიმინდის ულვაშის გარდა, იყენებენ სიმინდის მარცვლებიდან მიღებულ ზეთს ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, როგორც სისხლში ქოლესტერინის რაოდენობის შემამცირებელ საშუალებას. ამ მიზნით კარგია ზეთის დამატება საჭმელში, განსაკუთრებით სალათებისთვის.

ანტარქტიდის ცნობილი სასტუმრო შეაკეთეს

ანტარქტიდაში მდებარე სახელგანთქმული სასტუმრო უაით დისერთი მის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით შეაკეთეს. სასტუმროს ცნობილ სტუმართა შორის იყვნენ პრინცი ჰარი და ტელეწამყვანი და მწერალი ბეარ გრილსი. იუბილესთან დაკავშირებით სასტუმროს კაპიტალური შეკეთება განხორციელდა. ძირითადი სადგომი ექვსი გუმბათის მაგვარი კონსტრუქციისგან შედგება, რომელიც თბება, შიგნით განთავსებულია ბამბუკისგან დამზადებული ნივთები, ბეწვის პლედები. სტუმრებისთვის კერძებს შეფმზარეული ამზადებს, რომელიც „ფორმულა 1“-ის მრბოლელ ლიუის ჰემილტონთან თანამშრომლობს. აღსანიშნავია, რომ სასტუმროს შეკეთების სამუშაოები ეკოლოგიური სტანდარტების შესაბამისად განხორციელდა.

ანტარქტიდაზე სტუმრობის სეზონი ნოემბრიდან დეკემბრის ჩათვლით გრძელდება. სასტუმროში 8 ან 11 ღამის გათევის ღირებულება ერთნაირია და კაცზე 72 ათას დოლარს შეადგენს.

ლას-ვეგასში ქალაქის უძველესი კაზინო დაანგრიეს

ამერიკის ნევადის შტატის ქალაქ ლას-ვეგასში დასრულდა ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე ცნობილი შენობების კომპლექსის, კაზინო რივიერას დანგრევა. კომპლექსის დანგრევა მონტე-კარლოს კოშკის კონტროლირებადი აფეთქებით დასრულდა. კომპლექსის პირველი ნაგებობები ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ივნისში დაანგრიეს. ნაგებობის დანგრევის დროს დიდი რაოდენობით მტვრის გამო ადგილობრივ მცხოვრებლებს თხოვნით მიმართეს, რომ კონტროლირებადი აფეთქების სიახლოვეს არ გაევლოთ.

სასტუმრო-კაზინოს დახურვის გადაწყვეტილება 2015 წელს იქნა მიღებული. არსებული შენობების ადგილას ახალი კონფერენც-ცენტრის მშენებლობა დაიწყება.

კაზინო რივიერაში გადაღებული იყო ისეთი ფილმები, როგორებიცაა „ოუშენის თერთმეტი მეგობარი“, 1960 წლის გადაღება, ფილმი ჯეიმს ბონდის სერიიდან „ბრილიანტები სამუდამოდ“, ასევე „კაზინო“ 1995 წელს. ახალ ფილმში ჯეისონ ბორნზე ასევე არის სცენები, რომლებიც კაზინოს შენობაშია გადაღებული.

მელბურნი საცხოვრებლად ყველაზე გამოსადეგ ქალაქ აღიარეს

ავსტრალიის ქალაქი მელბურნი საცხოვრებლად ყველაზე გამოსადეგ ქალაქად დასახელდა. ექსპერტებმა 140 დასახლებული პუნქტი კატეგორიების მიხედვით შეაფასეს. კერძოდ, ფასდებოდა ჯანმრთელობის დაცვის დონე, ეკოლოგიური მდგომარეობა, განათლების სიტუაცია. აღმოჩნდა, რომ პირველ ათეულში შემავალი ქალაქებიდან ექვსი ავსტრალიასა და კანადაში მდებარეობს. მეორე ადგილი ერგო ავსტრიის დედაქალაქ ვენას, მესამეზე აღმოჩნდა ვანკუვერი (კანადა). შემდეგ მოდიან ტორონტო და კალგარი (ორივე კანადა), ადელაიდა და პერტი (ორივე ავსტრალია). მერვე ადგილზე აღმოჩნდა ახალი ზელანდიის ქალაქი ოკლენდი, შემდეგ მოდიან ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი და გერმანიის ქალაქი ჰამბურგი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დუბაიში აშენდება სასტუმრო ტროპიკული ტყით

დუბაიში 2018 წლისთვის დაგეგმილია მსოფლიოში პირველი სასტუმროს გახსნა, რომელსაც საკუთარი ტროპიკული ტყე ექნება.

არქიტექტორების გეგმებში შედის ტყუპი 47-სართულიანი კოშკების აშენება. სასტუმროს მთელი ტერიტორიის ფართობი, მათ შორის საცხოვრებელი ნაგებობებიც, 185 ათასი კვადრატული მეტრი იქნება.

აღსანიშნავია, რომ სასტუმროში ტროპიკული ტყე კოშკების გარშემო 7 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე იქნება გაშენებული, ხოლო მისი სიმაღლე ხუთ სართულს მოიცავს. ტყეში იქნება ჩანჩქერები, ნაკადულები, ასევე წვიმის სენსორული სისტემა, რომელიც ტროპიკული კლიმატის იმიტაციას მოახდენს. გარდა ამისა, სასტუმროს ბინადართ შეეძლებათ დაისვენონ ტყის ტერიტორიაზე არსებული აუზის პირას, რომელიც იურული პერიოდის სტილში იქნება შესრულებული და ასევე – ქვიშიან პლაჟზე.

სასტუმროს თითოეული კოშკის 25-ე სართულზე არქიტექტორებს დაკიდული აუზების განთავსება აქვთ დაგეგმილი, რომლებსაც გამჭვირვალე ფსკერი ექნებათ და რისი წყალობითაც დამსვენებლებს დუბაის პეიზაჟებით ტკბობა შეეძლებათ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

პეტრო პოროშენკო: „შესაძლოა, სამხედრო მდგომარეობა გამოვაცხადოთ“

აშშ-ის ელჩმა უკრაინაში ჯეფრი პაიეტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთ-უკრაინას შორის დაძაბულობამ საშიშ ზღვარს მიაღწია. ფართომასშტაბიანი ომის საფრთხე დიდია. ელჩმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მიუხედავად საარჩევნო კამპანიისა, აშშ უკრაინას მხარს დაუჭერს. უახლოეს დღეებში ამერიკიდან უკრაინაში იარაღისა და სამხედრო ტექნიკის ახალი პარტია ჩამოვა.

– გვსურს, რომ ყველამ იცოდეს: უკრაინა მარტო არ არის! – თქვა პაიეტმა.

რუსეთ-უკრაინას შორის ურთიერთობების მკვეთრი დაძაბვა ყველა სფეროზე აისახა. უკრაინის ელჩმა გერმანიაში იქაურ მთავრობას სამხედრო დახმარების აღმოჩენის თხოვნით მიმართა. კომპანია „ნაფტოგაზ უკრაინამ“ კი გაზპრომს დონბასისათვის მიწოდებული გაზის საფასურის გადახდაზე უარი განუცხადა:

– ჩვენ არ ვიცით, თუ ვის და რა რაოდენობის გაზი მიეწოდა! – ნათქვამია კომპანიის განცხადებაში.

პეტრო პოროშენკომ განახორციელა რიგი ღონისძიება, რაც რუსული აგრესიის განეიტრალებისკენაა მიმართული. ბროდში (დასავლეთ უკრაინა) სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უკრაინული არმია, უკრაინელი ხალხი მზადაა, დამოუკიდებლობა იარაღით ხელში დაიცვას.

– დონბასში გაემგზავრა ჩვენი გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი მუჟენკო! ჩვენი მიწის ერთ გოჯსაც კი მტერს არ დავანებებთ! – განაცხადა პოროშენკომ.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ არმიაში გამოცხადებულია სრული საბრძოლო მზადყოფნა. ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რათა მტრის შეტევა მოგერიებულ იქნეს.

– შესაძლოა, სამხედრო მდგომარეობა გამოვაცხადოთ. ამას არ გამოვრიცხავ, – თქვა პოროშენკომ.

ჯონ კერი ნიგერიასა და საუდის არაბეთს ეწვევა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი მომავალ კვირას ნიგერიასა და საუდის არაბეთს ეწვევა. ნიგერიის პრეზიდენტთან მისი საუბრის ძირითადი თემა ტერორიზმთან ბრძოლა იქნება.

ნიგერიაში აქტიურად მოქმედებს ტერორისტული ორგანიზაცია „ბაკო ჰარამი“! ნიგერიის მთავრობა მის წინააღმდეგ აქტიურ ოპერაციებს ახორციელებს.

რუსეთში მაკეინის ინსტიტუტი არასასურველ ორგანიზაციად გამოაცხადეს

რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც ჯონ მაკეინია (ამიტომ მას მაკეინის ინსტიტუტსაც უწოდებენ), არასასურველ ორგანიზაციად გამოცხადდა.

– ესაა ძირგამომთხრელი ორგანიზაცია, – ამტკიცებს რუსეთის გენერალური პროკურატურა.

სინამდვილეში მაკეინის ინსტიტუტის ამოცანაა, დაეხმაროს ქვეყნებს სრულფასოვანი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში. ამიტომ რუსეთის გენერალური პროკურატურის განცხადებამ ბევრი გააოცა.

– პირადად მე არაფერი გამკვირვებია! ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პუტინს დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება არ სურს, – თქვა მაკეინმა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მომხდართან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ რუსეთის პროკურატურის საქციელი გაოცებას იწვევს.

– რუსი ხალხი უდავოდ იმსახურებს ისეთ ხელისუფლებას, რომელიც კანონის უზენაესობას, დემოკრატიულ პრინციპებსა და ადამიანის უფლებებს დაიცავს, – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

ალეპო: რუსული ბომბების მსხვერპლნი ძირითადად ბავშვები ხდებიან

სირიელმა აქტივისტებმა გაავრცელეს სისხლით მოთხვრილი პატარა ბიჭუნას ფოტო. ბავშვი რუსული ავიაციის მიერ ალეპოს დაბომბვისას დაზარალდა.

ამ ფოტომ მთელ მსოფლიოში ნამდვილი შოკი გამოიწვია.

ალეპოსთან კი ბრძოლები გრძელდება. მიუხედავად რუსების მიერ ქალაქის დაბომბვებისა, ასადის არმიამ დაკარგული სტრატეგიული ობიექტების დაბრუნება ვერ შეძლო. რუსული ბომბების მსხვერპლნი კი ძირითადად ბავშვები ხდებიან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დეპორტაციის შიშით გამბიელმა პასპორტი შეჭამა

გამბიელმა არალეგალმა მიგრანტმა იმისთვის, რათა საფრანგეთიდან დეპორტაციისთვის თავი აერიდებინა, პოლიციელთა თვალწინ საკუთარი პასპორტის რამდენიმე ფურცელი შეჭამა.

ინციდენტი საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში მოხდა. საფრანგეთის ხელისუფლებამ 34 წლის გამბიელ ბუბაკარს თავშესაფრის მიცემაზე უარი უთხრა. თვითმფრინავის დანახვაზე, რომლითაც ის სამშობლოში უნდა დაებრუნებინათ, გაბრაზებულმა მამაკაცმა საკუთარი პასპორტიდან ფურცლები ამოგლიჯა, მათ შორის ისიც, რომელზეც მისი ფოტოსურათი იყო და გადაყლაპა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამის შემდეგ მიგრანტმა პოლიციელებისთვის შეურაცხყოფის მიყენება დაიწყო და მათი მიმართულებით გადააფურთხა კიდეც. შედეგად საჰაერო ხომალდის მეთაურმა მის თვითმფრინავში აყვანაზე უარი განაცხადა, ვინაიდან ჩათვალა, რომ ის საფრთხეს წარმოადგენდა. სასამართლომ ბუბაკარს დეპორტაციისთვის თავის არიდების მცდელობისთვის ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯა. თავად მიგრანტის მტკიცებით, ის ოპოზიციის წარმომადგენელია და სწორედ ამიტომ აუცილებელია მისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიღება.

მანქანასთან სექსის მცდელობისთვის მამაკაცი დააკავეს

ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ დეიტონის მცხოვრები მამაკაცი იმის გამო დააკავეს, რომ ის თითქოსდა მანქანასთან სქესობრივი ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი ტელეკომპანია ავრცელებს. პოლიციის ადგილობრივი დეპარტამენტის ინფორმაციით, სამშაბათ საღამოს მათთან შევიდა ქალის სატელეფონო ზარი, რომელმაც მათ საეჭვოდ შორტებჩაწეული მამაკაცის თაობაზე აცნობა. ადგილზე მისვლისას პოლიციელებმა აღმოაჩინეს მამაკაცი მაიკლ ჰენსონი, რომელსაც მხოლოდ შავი ფერის შორტები და ფეხსაცმელები ეცვა. აღსანიშნავია, რომ მამაკაცი მთვრალი იყო.

მას შემდეგ, რაც მამაკაცი პოლიციის მანქანაში მოათავსეს, სამართალდამცავებმა ოწმე ქალბატონი დაკითხეს, რომელმაც მათ განუცხადა, რომ ჰენსონმა მის თვალწინ ჩაიხადა შორტები და თავისი ასო გაჩერებული ავტოფურგონის რადიატორის ცხაურში შეყო. მისი თქმით, მამაკაცმა ასეთ მდგომარეობაში გარკვეული დრო დაყო, რის შემდეგაც იქვე მეზობლად მდებარე ეზოს მიაშურა. ჰენსონს საზოგადოებრივ ადგილზე უმსგავსო საქციელის ბრალდება წარედგინა და ის მონტგომერის ოლქის ქალაქის საპატიმროში მოათავსეს.

დეფორმირებულსახიანი ბიუიტი-ბლოგერი იუთუბის ვარსკვლავად იქცა

კალიფორნიელი ბიუიტი-ბლოგერი, რომელსაც დეფორმირებული სახე აქვს, იუთუბის ვარსკვლავი გახდა მაკიაჟის შექმნის თაობაზე გადაღებული ვიდეოინსტრუქციების წყალობით.

21 წლის მარიმარ კუიორა, რომლის ვიდეოპოსტები ორ მილიონამდე ნახვას აგროვებს, კეთილთვისებიანი სახის სიმსივნითაა დაავადებული, რაც მას იძულებულს ხდის, ტრაქეაში გაკეთებული სპეციალური ხვრელით ისუნთქოს და საკვები სპეციალური მილის დახმარებით მიიღოს. გოგონა ვიდეორგოლებს ვიზაჟის ოსტატობაზე ჟესტების ენის დახმარებით ქმნის, ვინაიდან ლაპარაკს ვერ ახერხებს. აღსანიშნავია, რომ კუიორა ვიდეოებს ორი წლის მანძილზე აქვეყნებდა, თუმცა მასმედიის ყურადღება მხოლოდ ახლახან მიიპყრო და მას სტატიები ცნობილმა გამოცემებმა მიუძღვნეს, მათ შორის კოსმოპოლიტენმა და დი სანმა.

ფეხბურთის აგენტმა ალ კაპონეს ვილა იყიდა

ფეხბურთის აგენტმა მინო რაიოლმა მაიამის მახლობლად 9 მილიონ ევროდ იყიდა ვილა. ადრე ეს უძრავი ქონება ცნობილ ამერიკელ განგსტერ ალ კაპონეს ეკუთვნოდა. ალფონსო გაბრიელ „დიდი ალ“ კაპონე დანაშაულებრივი საქმიანობით იყო დაკავებული, მათ შორის ბუტლეგერობითა და სათამაშო ბიზნესით მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში.

რაც შეეხება ვილას, მას აქვს აუზი და ასევე მიშენება, სადაც ოდესღაც ალ კაპონეს პირადი მცველები ცხოვრობდნენ, მცირე ხნით ადრე ცნობილი გახდა, რომ რაიოლის საკომისიომ პოლ პოგბას ტურინის „იუვენტუსიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლის სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო შეადგინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ მთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ზლატან იბრაჰიმოვიჩი: „ვიმარჯვებდი ყველგან და იმავეს გავაკეთებ მანჩესტერშიც“

მანჩესტერ იუნაიტედის ახალწვეულ ზლატან იბრაჰიმოვიჩს მშვენიერი დებიუტი გამოუვიდა. შვედმა შემტევმა მანჩესტერელთა მაისურით პირველივე მატჩში გაიტანა და უკვე პირველ ტიტულსაც დაეუფლა – ინგლისის სუპერთასს.

იბრაჰიმოვიჩი უმალ მოექცა ინგლისელი ჟურნალისტების ყურადღების ქვეშ.

– რატომ ხართ ინგლისი? რატომ მაინცდამაინც ახლა?

– მარტივი მიზეზის გამო, დადგა შესაფერისი დრო, რათა გადმოვსულიყავი ინგლისში. ამასთან, ვის შეუძლია, უარით გაისტუმროს მანჩესტერ იუნაიტედი? არ მჯერა, რომ ვინმეს შეუძლია, ეს გააკეთოს. 100%-ით ვარ დარწმუნებული, თქვენ პრემიერლიგაში ვერ ნახავთ ფეხბურთელს, რომელიც მანჩესტერს უარს ეტყვის. ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რომ აქ ვარ და ამ კლუბს ვეკუთვნი, სახელიც ძალიან მაგარი აქვს, უბრალოდ, აღფრთოვანებული ვარ.

– ინგლისში თამაშზე ადრეც ხომ არ გიფიქრიათ?

– სიმართლე გითხრათ, ადრე ამ საკითხზე არ მიფიქრია. როდესაც ბარსელონაში ვთამაშობდი, იყო ერთი ინგლისური კლუბი, რომელსაც ჩემი შეძენა სურდა, მაგრამ არა 100%-ით. ახლა კი ჩემი შეძენა არა 100%-ით, არამედ 200%-ით სურდათ, ჯერ კიდევ გასულ სეზონში, მაგრამ მაშინ პარიზში დარჩენა ვამჯობინე.

– როგორ შთაბეჭდილებას ტოვებდა თქვენზე პრემიერლიგა, სანამ გადმოხვიდოდით?

– ინგლისის ჩემპიონატი ძალიან საინტერესოა. აქ არ არის გუნდი, რომელიც სხვა დანარჩენებზე დომინირებს, აქ ყველა თანაბარია, თუ მთელ სეზონს კარგად ითამაშებ, მხოლოდ მაშინ გახდები ჩემპიონი. პრემიერლიგას მთელი მსოფლიო ადევნებს თვალს. აქ მართლაც საუკეთესო გუნდები ასპარეზობენ.

– პსჟ ნამდვილად დომინირებდა საფრანგეთში, თქვენ ბევრ გოლს იტანდით, იღებდით უამრავ ჯილდოს და იგებდით უამრავ ტიტულს. როგორ ფიქრობთ, გჭირდებოდათ ახალი გამოწვევა?

– გამოწვევებს არასდროს გავურბივარ, სწორედ ამიტომ, როგორც კი გამომიჩნდა ეს შესაძლებლობა, მივიღე. არ მიყვარს ფეხბურთელი, რომელიც მთელ კარიერას ერთ გუნდში ატარებს იმ მიზეზით, რომ ის აქ მუდამ პირველი იქნება. მე არ ვარ ასეთი, პირიქით, მე ყოველთვის ვიღებ გამოწვევებს და შევეწირები კიდეც მათ. ვნახავ, რომ ამისგან იქნება შედეგი, ჩემს სამყაროში გამოწვევას უარი არასდროს ეთქმება. ბევრ ჩემპიონატში ვიასპარეზე, ახლა ინგლისში ვარ და ვთვლი, რომ ეს საუკეთესო თავგადასავალი იქნება ჩემს კარიერაში. მე მივდიოდი, ვიმარჯვებდი და ისევ მივდიოდი. იმედია, ეს კვლავ გამეორდება.

– როგორ ფიქრობთ, არის კი აქ თქვენთვის რაიმე რისკი?

– ერთადერთი რისკი ტიტულის ვერმოგებაა. პირადად ჩემთვის კი არანაირი რისკი არ არსებობს. მე არავისთვის არაფრის დამტკიცება არ მმართებს, კარიერა თვითონვე ამბობს ყველაფერს. მე მევალება მხოლოდ შემდეგი – ვითამაშო ჩემი საუკეთესო თამაში და დავეხმარო მანჩესტერ იუნაიტედს, დაბრუნდეს მწვერვალზე. ჩემი მოვალეობა ესაა და მე მას აუცილებლად შევასრულებ.

– თქვენი სტანდარტების შესაბამისად, რის მიღწევა გსურთ აქ?

– როცა ვიგებ, მაშინ კმაყოფილი ვარ, როცა კლუბს მწვერვალზე დავაბრუნებ, მაშინ ვიქნები ბედნიერი. ადამიანი ერთიან გუნდშია – იმარჯვებს გუნდი? ბედნიერი ხარ შენც.

– ბევრჯერ გითქვამთ, რომ წუხთ იმის გამო, რომ მოურინიოსთან მხოლოდ ერთი სეზონის გატარება მოასწარით. ამჯერადაც თქვენი პარტნიორობა ერთწლიანი იქნება თუ ველოდოთ გაგრძელებას?

– მოდით, ნუ დავაჩქარებთ მოვლენებს, რადგან არასდროს იცი, რა მოხდება მომავალში. შესაძლოა აქ 2 წელი გავჩერდე, შესაძლოა – 3. ვნახოთ, როგორ მდგომარეობაში ვიქნები. არ მინდა, გუნდში მხოლოდ იმიტომ ვიყო, რომ იბრაჰიმოვიჩი ვარ. ვითამაშებ, თუ მივხვდები, რომ გუნდისთვის გამარჯვებების მოტანა შემიძლია.

– სწრაფად ადაპტირდებოდით სხვა ლიგებში. როგორ ფიქრობთ, აქ რაიმეს შეცვლა მოგიწევთ?

– შევეჩვევი გუნდს და იმ თამაშს, რომლის ხილვაც მწვრთნელს სურს. წაიღებს თუ არა ეს დიდ დროს? არა.

– როგორ იპოვით ბალანსს თქვენს ძლიერ მხარეებსა და ინგლისის ჩემპიონატის საფეხბურთო სტილს შორის?

– სადაც არ უნდა იყოთ, ყველგან ერთი და იგივე ხდება. შევისწავლე და შევეჩვიე ჰოლანდიურ საფეხბურთო სტილს, იტალიურ საფეხბურთო სტილს. მიდიხარ და ეჩვევი, სწავლობ. მოვედი ინგლისში, მაშასადამე, შევისწავლი და გავითავისებ აქაურ სტილს. ეს ჩემთვის არაა პრობლემაა, პირიქით, ეს მაძლიერებს.

– ჟოზემ აღნიშნა, რომ თქვენ საჩუქარი იქნებით ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, მარკუს რეშფორდი. ისინი თქვენგან ბევრს ისწავლიან, თქვენ კი მათ ბევრს დაეხმარებით. როგორ დაეხმარებით ახალგაზრდებს და იყო თუ არა ვინმე ისეთი, ვინც თქვენ ახალგაზრდობაში დაგეხმარათ?

– შემიძლია, მათ ბევრი ვასწავლო. 10-15 წელი ვითამაშე მაღალ დონეზე, ვიასპარეზე საუკეთესო გუნდებში და მათთან ერთად უამრავი ტიტული მოვიგე. ბევრი ვერც იოცნებებს იმას, რასაც მე მივაღწიე. კარიერის განმავლობაში უმაღლესი კლასის ფეხბურთელებთან ვითამაშე. მათგან ბევრს ვსწავლობდი. სწორედ ამ ცოდნას გავუზიარებ რეშფორდსა და სხვა ახალგაზრდებს. მათ ევალებათ მხოლოდ ერთი – ყურადღებით მოისმინონ, რისი გაკეთებაც ევალებათ. რეშფორდში უდიდეს ტალანტს ვხედავ, ვაკვირდებოდი მას გასულ სეზონში და ვაკვირდები მას ბოლო რამდენიმე კვირა. ის ინგლისის მომავალია. მან, უბრალოდ, ბეჯითად უნდა იმუშაოს, მოახდინოს ფოკუსირება მხოლოდ ამაზე და შედეგი თავისით მოვა. მე ბევრი მეხმარებოდა, როცა იუვეში გადავედი. იქ ყველა ვარსკვლავი იყო. ვაკვირდებოდი, როგორ იქცეოდნენ, როგორ ვარჯიშობდნენ, როგორ თამაშობდნენ. როცა შენ მათ თითოეულ დეტალს სწავლობ, აკეთებ იმავეს და ხდები ერთ-ერთი იმათგანი.

– რას ფიქრობთ უეინ რუნისთან ერთად თამაშზე?

– მასთან ერთად თამაში შესანიშნავია. რაც მეტ დროს გავატარებთ ერთად მოედანზე, მით მეტად გავუგებთ ერთმანეთს. უკვე კარგად ვუგებთ ერთმანეთს. ჩვენ გვიყვარს ფეხბურთის თამაში, გვიყვარს ბურთის მიღება და მომენტის შექმნა, მაგრამ ეს არაა მხოლოდ ჩვენ ორის თამაში, ფეხბურთი გუნდური თამაშია, ჩვენ ორივემ გუნდთან ერთად უნდა ვითამაშოთ, მაშინ პრობლემები აღარ გვექნება. რუნი ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელია, ვფიქრობ მეც. მე არ გადაველობები მას, ის კი მე – ეს მარტივი შეთანხმებაა.

– თქვით, რომ იუნაიტედი ყველაზე დიდი კლუბია, რომელშიც თქვენ ოდესმე გითამაშიათ, თუმცა ისეთ დიდ გუნდებში ასპარეზობდით, როგორიც იყო: აიაქსი, იუვენტუსი, ბარსელონა, მილანი. რა არის მთავარი განსხვავება მათსა და მანჩესტერ იუნაიტედს შორის?

– ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გზამ, რომელიც აქ გავიარე. ვიმყოფები უდიდეს სამწვრთნელო ბაზაზე, კლუბის ისტორია, უდიდესი ფეხბურთელები, რომლებიც აქ თამაშობდნენ და, რაც მთავარია, ის უდიდესი ყურადღება, რომელსაც შენ იღებ გულშემატკივრებისგან არა მარტო ინგლისიდან, არამედ მთელი მსოფლიოდან. მივდივარ, პირდაპირ მხვდება გულშემატკივარი, ვბრუნდები მარცხნივ, მარჯვნივ – კვლავ გულშემატკივარი, ყველგან გულშემატკივარი, ყველგან ყურადღება. ეს სოლიდურია. ეს ტოპ კლასია. ვთამაშობდი მილანში, იუვეში, ბარსელონაში. ისინი ასევე დიდი გუნდები არიან, მაგრამ აქ ყველაფერი უფრო მაღალ დონეზეა. იმისათვის, რომ ეს შეძლო და ასეთ გუნდში მოხვდე, იღბალი გჭირდება. მე გამიმართლა. მე ვიმარჯვებდი ყველგან და იმავეს გავაკეთებ მანჩესტერშიც.

– ბომბარდირი, გამარჯვებული, იუმორისტი – ასე დაგახასიათათ მოურინიომ 3 სიტყვით. როგორ აღწერდით საკუთარ თავს?

– არ მიყვარს საკუთარი თავის დახასიათება, როგორც ამას სხვები აკეთებენ. მე ნორმალური ადამიანი ვარ, თუმცა ბევრი ფიქრობს, რომ ცუდი ვარ. მე – ეს მე ვარ. ხალხი ცნობისმოყვარეა. ვინ არის ზლატანი? მე მეოჯახე ბიჭი ვარ, ვზრუნავ ოჯახზე, მაგრამ, როცა მოედანზე გავდივარ, ვხდები ლომი. ეს დიდი განსხვავებაა. ხალხი თვლის, რომ საკუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენები მაქვს, მაგრამ პირადად ასე არ მიმაჩნია. უბრალოდ, მჯერა ჩემი შესაძლებლობების. ვფიქრობ, ეს ადამიანის არსებაში ინდივიდუალური ძალაა. მე ვისახავ მიზანს, მწამს საკუთარი თავის და ვაკეთებ ყველაფერს, რომ დიდი შრომის ფასად ამ მიზანს მივაღწიო.

– იცვლიდით თუ არა სახეს?

– არა. არ ვარ ის ადამიანი, რომელიც სახეს იცვლის. მე ამაში ფულს არ მიხდიან, მე არ ვიცვლები, ვაკეთებ იმას, რაც მომწონს, არ ვფიქრობ იმაზე, მოსწონს ეს სხვას თუ არა. აქაც მარტივი მიზეზით ვარ მოსული – ვითამაშო ფეხბურთი და მოვიგო ტიტული. კარიერის ბოლოს ხალხი სწორედ ამას გაიხსენებს, თუ რა მოიგე შენ.

– მხიარულად ატარებთ თავისუფალ დროს?

– დიახ, გასართობი ბევრი მაქვს. ვცდილობ, პოზიტიური ემოციებით დავიტვირთო.

– როგორ ფიქრობთ, ჩვენ ვიცნობთ ნამდვილ ზლატანს?

– მხოლოდ რამდენიმე ადამიანი თუ მიცნობს. მედიამ ზლატანის სხვა სახე შექმნა, მე სულ სხვა ვარ, თუმცა თქვენი ზლატანიც ძალიან მახალისებს.

– გაქვთ თუ არა დევიზი?

– ვფიქრობ, ეს ბედია. მჯერა, რომ, თუ რაღაცა მოხდა, ე.ი. ასე უნდა მომხდარიყო. სწორედ ბედმა გამომგზავნა ინგლისში.

– აწმყოთი ცხოვრობთ თუ წარსულით?

– წარსული წარსულია, აწმყო კი – აწმყო. რაც მოხდა, მას ვერ დააბრუნებ. წარსულზე არ ვფიქრობ, ვცხოვრობ აწმყოთი. შენ უნდა შექმნა ახალი თავი შენს ცხოვრებაში, ახლა სწორედ ეს მომენტია, მე ახალ ისტორიას ვწერ და მზად ვარ ამისთვის.

– რას ფიქრობთ პრემიერლიგის მიმდინარე სეზონზე?

– იქნება ძალიან საინტერესო. საუკეთესო მწვრთნელები აქ არიან, ყველა გუნდი გამარჯვებისთვის იბრძვის, მით უმეტეს მაშინ, როცა გასულ წელს ჩემპიონი აუტსაიდერი გახდა. გუნდები დიდ თანხას ხარჯავენ, მოდიან საუკეთესო ფეხბურთელები. ძალიან საინტერესო იქნება.

– რას ელოდებით ამ სეზონისგან?

– ბევრს ველოდები. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც მთელ სეზონს სტაბილურად და კარგად ითამაშებს.

– პირადად თქვენთვის რამდენი გოლის გატანა იქნება საკმარისი, რომ კმაყოფილება იგრძნოთ?

– შეეკითხეთ სხვას და ის აუცილებლად გეტყვის, რომ ეგოისტი ვარ, მაგრამ შეგიძლიათ გადახედოთ და ნახოთ, თუ რამდენი საგოლე პასი მაქვს გაკეთებული კარიერის განმავლობაში. ჩემთვის მნიშვნელოვანია გოლის გატანა, საგოლე პასის გაკეთება, მაგრამ უმნიშვნელოვანესია გუნდის შედეგი. სწორედ ესაა მთავარი.

– რამდენადაა თქვენთვის იუნაიტედში გადმოსვლა ახალი თავგადასავალი?

– ყველაზე დიდი თავგადასავალია, კარიერის უდიდესი ეტაპი. წინ დიდი და რთული მიზნების შესრულება გველის, მაგრამ ბევრი მუშაობით ჩვენ ამ მიზნებს მივაღწევთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სხვა დინამო, რომელიც ფეხბურთს არ თამაშობს

დინამო (თბილისი) – პაოკ (სალონიკი) 0:3

თბილისი. დინამო არენა

0:1 მატოსი (20), 0:2 კრესპო (71), 0:3 პერეირა (83)

დინამო: სკრიბე, ლობჟანიძე (თევზაძე 58), რენე, ამისულაშვილი, ჭელიძე, ცინცაძე (ალვარო 70), პარუნაშვილი, კიტეიშვილი, ჭანტურიშვილი, ჯიღაური, პაპუნაშვილი (დვალიშვილი 63)

პაოკ: გლიკოსი, მატოსი, ლეოვაცი, ცაველასი, კრესპო, კამპოსი (პერეირა 83), ჩიმიროტო, შახოვი (ბისესვარი 68), როდრიგესი, ჩარისისი (კანიასი 46), ათანასიადისი

ეს არ არის თბილისის დინამო, ეს არ არის ფეხბურთი. ის, რაც ქართულ ფეხბურთში ხდება, წარმოუდგენელი იქნება ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისთვის. თუმცა, ყველაზე მეტად ის გვაშფოთებს, რომ სწორედ სხვა ქვეყნის მოქალაქეები დაგვცინიან. არ ვსაუბრობთ მეტოქე გუნდის ფეხბურთელებზე – ამას აკეთებს გუნდის მთავარი მწვრთნელი.

მატჩის შემდეგ იურაი იარაბეკმა განაცხადა, 0:3 თამაშის სურათს არ შეეფერებოდაო. უკაცრავად, ბატონო იარაბეკ, თქვენ თამაშს უყურეთ? თუ გასაცოდავებულ სომხურ ალაშკერტს არ ჩავთვლით, რომელსაც არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, თქვენგან განსხვავებით, რომელ გუნდთან ითამაშა დინამომ თქვენი ხელმძღვანელობით ფეხბურთი, სადაც წაგებას არ იმსახურებდა? არადა, იგივე თქვით დინამოზაგრებთან ხორვატიაში წაგებული მატჩის შემდეგ, მაგრამ ერთხელ არ გითქვამთ, რომ ხორვატებთან ორივე მატჩი სუფთად მოგიგოთ მეტოქე გუნდის მწვრთნელმა.

ზედიზედ 3 უგოლო მატჩი ევროტურნირებზე და ზედიზედ 3 ჩაგდებული მეორე ტაიმი. დასკვნა მარტივია – იარაბეკი საქართველოს ჩემპიონატს გაქაჩავს, ევროპაში კი...

ეს რაც შეეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მაგრამ რას ვერჩით სლოვაკს, როდესაც, როგორც ჩანს, თავად კლუბის ხელმძღვანელობას არ ადარდებს კლუბის შედეგი. არასწორი მენეჯმენტი, არასწორი სატრანსფერო პოლიტიკა, არასწორი ფინანსური გათვლა.

მატჩზე კი რა უნდა ვთქვათ, როდესაც მეტოქემ სწორად, მარტივად, ჭკვიანურად ითამაშა, ისე, რომ ოფლი არ გამოსვლია. და ეს პირველად არ ხდება.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ოთხშაბათი 22 აგვისტო

07.00 დ/ფ "შიგნიდან დანახული კონკორდი" 08.00 ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 09.00 ზღაპარი. "მეფის ახალი სამოსი" 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.10 ტ/სერ. "**წინ წარმავლებისკენ**" 11.00 დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" 12.30 ოლიმპიადა "რიო -2016"საზეიმო დასურვა 14.30 დ/ფ "შიდო" 15.00 დ/სერ. "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 დ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. რა არის ამერიკის ქეშე" 19.00 ტ/სერ. "**უცნობი მოსაზლები**" 20.00 მოამბე/მამბის სტუმარი 21.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 22.30 მ/ფ "**ფარული ნიშნები წინასწარმეტყველ**"(მ.შინი) 00.30 მ/ფ "**სიდუდელის გასალები**"(კ.ჰაღისონი) 02.40 დ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. რა არის ამერიკის ქეშე"

08.00 დ/ფ "ლეონარდო და ვინჩი" 09.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 10.00 მ/ფ "**ტაუვები**" 12.00 ტ/სერ. "**ვასს ს

ასტროპროგნოზი

20 აგვისტოსთვის

ვერძი – შესაფერისი დღეა საქმიანობის სფეროს შესაცვლელად, ახალი პარტნიორების შესაძენად, ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად. **ჯუარო** – მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. თუ მას ადრევე დაგეგმავთ, წარმატებას მიაღწევთ. **ტყუპები** – შინაგანად თავისუფლდებით. დღეს მოგიხდებათ ფიტნესი, ცურვა, მსუბუქი ფიზიკური ვარჯიში. **კირჩხიბი** – თქვენი შემოქმედებითი აქტივობა მისასალმებელია. შანსი გეძლევათ, შექმნათ რაღაც განსაკუთრებული. **ლომი** – დაისვენეთ აქტიურად, გაერთეთ. ახალი ნაცნობობა იღბლიანი იქნება. **ქალწული** – სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. კარგი პერიოდია საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად. **სასწორი** – ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ. დღეს მოსალოდნელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. **ღრიანცალი** – კონფლიქტური დღეა. ერიდეთ კამათში ჩართვასა და საქმის გარჩევებს. ვარსკვლავები კომპრომისზე წასვლას გირჩევენ. **მშვილდოსანი** – მეტი ყურადღება გამოიჩინეთ მეგობრებისა და ნათესავების მიმართ. დღეს კარგი იქნება მათთან ერთად დასვენება და გართობა. **თხის რქა** – ნებისმიერ სფეროში წარმატებული ხართ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **მერწყული** – მიენდეთ განსაკუთრებულად გამახვილებულ ინტუიციას. ოჯახში სიტუაცია მნიშვნელოვნად უმჯობესდება. **თევზები** – მომავალზე ფიქრი გაფორიაქებთ, თუმცა – ამაოდ. სტაბილური მატერიალური მდგომარეობა განგაშის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა.

21 აგვისტოსთვის

ვერძი – თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა ზენიტშია. კარგი პერიოდია საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად, ბიზნესში აქტიურობისათვის. **ჯარო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. წარმატება გელით ბიზნესსაქმიანობაში. ცრუ დაპირებებს ნუ გასცემთ. **ტყუპები** – შესაფერისი პერიოდია კომერციული ოპერაციებისათვის, საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **კირჩხიბი** – ნებისმიერი ქმედება თქვენგან დიდ სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს. შანსი გეძლევათ, პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები შეიტანოთ. **ლომი** – სამსახურშიც და სახლშიც სტაბილური სიტუაციაა. პლანეტები გირჩევენ, საკუთარი შესაძლებლობები ობიექტურად შეაფასოთ და ისე იმოქმედოთ. **ქალწული** – საჭიროების შემთხვევაში რჩევისათვის ახლო მეგობრებს მიმართეთ. სავაჭრო და კომერციული საქმიანობა წარმატებული იქნება. **სასწორი** – ელოდეთ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. შემოსავალ-გასავალი მკაცრად აკონტროლეთ. **ღრიანცალი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობა გეძაბებათ. დღეს მაქსიმალური დიპლომატიურობისა და ტაქტის გამოჩენაა საჭირო. **მშვილდოსანი** – სამსახურში წინსვლა გელით. პირად ცხოვრებაში ეჭვიანობამ და წყენამ შესაძლოა ტკივილი მოგაყენოთ. **თხის რქა** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. მიზნის მიღწევაში ხელს სიჯიუტე და კოლეგებისადმი უნდობლობა შეგიშლით. **მერწყული** – სასიამოვნო ცვლილებების დღეა. პირად ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც დასახული მიზნის განხორციელებას ახლავე შეუდექით. **თევზები** – ნებისმიერი სახის კონტაქტები კეთილისმყოფელია. კარგი იქნება, თუ სტუმრად წახვალთ ან მათ თავად მიიღებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

მიშა გომიაშვილმა ჯვარი დაიწერა

55 წლის ასაკში მსახიობმა მიშა გომიაშვილმა ჯვარი დაიწერა და 4-წლიანი თანაცხოვრება კოსტიუმების მხატვარ ქეთი კალანდაძესთან ღვთის წინაშე დააკანონა.

ჯვრისწერის ამსახველი ფოტოები მსახიობმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა და რჩეულს მსოფლიოში ყველაზე ლამაზი პატარძალიც უწოდა:

– ყველაზე ლამაზი პატარძალი მსოფლიოში... ჯვრისწერა მორჩა... და ყველა დავიშალეთ ბიტლებივით... ქეთიმ მოასწრო გამოცვლა და გავარდა გადაღებაზე და მე ვერ მოვასწარი... ეგრევე გადაღებაზე...

მიშა გომიაშვილი და ქეთი კალანდაძე უკვე 4 წელია ერთად ცხოვრობენ. მათ ერთმანეთი ერთ-ერთი ფილმის გადაღებებზე გაიცნეს. განსაკუთრებულ ყურადღებას მიჩვეული მიშა გომიაშვილი ქეთი კალანდაძის უყურადღებობას ვერ შეეგუა და მანამდე არ მოისვენა, სანამ მიზანი სისრულეში არ მოიყვანა. საყვარელ ქალს უგზავნიდა ლექსებს, უკეთებდა სიურპრიზებს. მსახიობის მონდომებამ შედეგი გამოიღო და სასურველი ქალი სიყვარულის მახეში გააბა.

– ვისთანაც გავიარ-გამოვიარე, ყველას მიშა გომიაშვილის ცოლი დაარქვეს. არ მყოლია, ბატონო, ამდენი ცოლი! ჩემი ერთი მეუღლე ნატუკას დედა იყო, მეორე – აჩიკუნას დედა, ახლა კი ქეთი შევირთე. მეტი ცოლი არ მყოლია, ბატონო, არა! – ამბობს მსახიობი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 2. ნაპოლეონის მშობლიური ქალაქი კორსიკაში; 3. მბრუნავ შამფურებიანი ელექტროღუმელი; 5. ციხესიმაგრე მესხეთში; 6. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 9. ავადმყოფური შიში, გამოწვეული საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით; 10. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 11. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. საკვები პროდუქტების ზედაპირზე გაჩენილი სოკოვანი ქსელი; 16. თურქული აბანო; 18. მეტყველების ნაწილი გრამატიკაში.

თარაზულად: 1. არაბი გლეხი; 4. მთიდან მოვარდნილი ნიაღვარი; 7. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 8. ქიმიური ინდიკატორი; 12. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 13. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 15. სამგზავრო სარკინიგზო ვაგონის ქართული სახელწოდება; 17. სახოტბო ლექსი; 19. პოლიციის ქვედანაყოფი საფრანგეთში; 20. სამეჯლისო ცეკვა; 21. ტყავის დამამუშავებელი ოსტატი ძველად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯოკერი; 2. წოტი; 3. ინდონეზია; 4. ლოლუა; 5. ვერსაჩე; 8. ტიგელი; 9. კალანდაძე; 12. შულერი; 14. ნამაზი; 16. ამადუ.

თარაზულად: 1. ჯვრისწერა; 6. „ანტიგონე“; 7. კანტატა; 9. კესონი; 10. ბანა; 11. ვექსილი; 13. კანოე; 15. სუმიდა; 17. ვანდომი; 18. დევიზა; 19. გრიზლი; 20. ლუტეცია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფოკა; 2. ნაურუ; 3. კლონი; 5. ავრორა; 6. ვილნიუსი; 9. აბასთუმანი; 10. ვაშლოვანი; 11. პოლიფონია; 14. გოა; 16. ჩიტაია; 18. პაბი.

თარაზულად: 1. ფრანკი; 4. ვილნიუსი; 7. ლუგანო; 8. ნექტონი; 12. ჯაყვა; 13. აგენტი; 15. ოლანდი; 17. ომი; 19. „პანჩატანტრა“; 20. „დირსი“; 21. ბილონი.

სამგლოვიარო განცხადებები

დემურ კვინიკაძის გახსენება

დღეს შენი დაბადების დღეა...

ოჯახი, სანათესავო, სამეზობლო, სამეგობრო კი მწუხარებას მოუცავს...

ყველას უყვარდა შენთან ყოფნა, თანამეინახეობა, მეგობრობა...

შენ ხომ საოცარი ხალისი, სილაღე, კოლორიტი შეგქონდა ყველგან... ჯანსაღი იუმორით, არტისტიზმით ხიბლავდი ადამიანებს... ძალიან გიყვარდა დიდ-პატარა და შენც გამორჩეულად უყვარდი ხალხს.

ახალგაზრდობაში ნამდვილ მზეჭაბუკს ჰგავდი: ახოვანი, წარმოსადეგი, ლამაზი... პეწი და სიჩაუქე არც სიჭარმაგეში გაკლდა.

ოჯახი შენთვის საფიცარი ხატი იყო, შვილებს კეთილშობილებას, პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას უნერგავდი, სანიმუშო მაგალითს ხომ თავად აძლევდი.

მიილია ჩვენი ერთად, დიდი სიყვარულით თანაცხოვრების 50 წელი... გვსურდა, 31 ივლისს ღირსეულად აღგვნიშნა ეს ლამაზი საიუბილეო თარიღი. არ დაგვცალდა...

ძალ-ღონით აღსავსეს, გვეგონა, ვერაფერი მოგერეოდა... მაგრამ ვერაგმა სენმა დაგრია ხელი... ყველას ენანებოდი, გეფერებოდნენ, გამხნევებდნენ... დიდი პატივი გცეს... თავდაუზოგავად ვიბრძოდით შენი სიცოცხლის გადასარჩენად... ამაოდ...

გარეთ ბუნების დედოფალი – გაზაფხული ყვაოდა. შენ კი სიცოცხლეს ეთხოვებოდი...

12 აპრილს მხურვალედ დაგიტირეთ...

მიწის ყივილმა გიხმო და დანაბარები შეგისრულეთ, მშობლიური საქარის მიწას მიგაბარეთ.

დაცარიელდა სახლი, ასერიგად რომ ავსებდი ბობოქარი ტემპერამენტით. თურმე მთელი სამყარო ყოფილხარ ჩვენთვის... საღამოობით ისევ გელით... უიმედოდ...

მე ძვირფასი, ერთგული მეუღლე დავკარგე, შვილებმა – შეუდარებელი მამა, შვილიშვილებმა – არაჩვეულებრივი ბაბუა, რძალმა – ძალზე მოსიყვარულე მამამთილი.

მსურს, უდიდესი მადლიერება გამოვხატო მათ მიმართ, ვინც მორალური და მატერიალური თანადგომა აღმოგვიჩინა.

დემურ კვინიკაძის სამზეო სახელი და კაცურკაცობა დაუვიწყარია!

ალბათ, ჭეშმარიტებაა უკვდავი ვაუას სიტყვები: „შენ გაგიმარჯოს, სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა!“

ხსოვნა ამარცხებს სიკვდილს!

ხსოვნა მარადიულია!

მეუღლე ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე ოჯახით

კვალი ნათელი
გერმანე ფაცაცია — 65

ძველი რომაელები გაურბოდნენ თურმე სიტყვას „მოკვდა“, ამბობდნენ: „იცხოვრაო“. სიტყვას კი გაექცევი, მაგრამ რეალობას – ვერა. ამიტომაც ჩვენმა ბრძენმა წინაპრებმა დაამკვიდრეს საოცრად ტევადი ტერმინი – „გარდაცვალება“. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ხომ ამქვეყნიური ღირსეული ცხოვრება აძლევს ადამიანს შესაძლებლობას, დაიმკვიდროს სასუფეველი, ეზიაროს უკვდავებას.

გერმანე ფაცაციას მსგავს რჩეულებს ზეცა იმედად და ნუგეშად აგზავნის დედამიწაზე და შემდეგ ხშირად ისე ხდება, რომ უფალი მათ სულებს ძალიან მალე უკანვე უხმობს ზეცაში, ღვთის საუფლოში. შედარებით ხანმოკლე აღმოჩნდა გერმანეს სიცოცხლე, მაგრამ, როგორც რომაელი ფილოსოფოსი სენეკა ამბობს, სიცოცხლე, იგავ-არაკის მსგავსად, ხანგრძლივობით კი არ ფასდება და იზომება, არამედ შინაარსით. მთავარი ის კი არ არის, რამდენი ხანი დაჰყო ადამიანმა დედამიწაზე, არამედ ის, თუ რა პრინციპებით, მორალური ნორმებით იცხოვრა მან.

გერმანე ფაცაციას ცხოვრება და მოღვაწეობა კი იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ უნდა იღვწოდეს და იბრძოდეს ჭეშმარიტი მამულიშვილი თავისი ქვეყნის, სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის. მას განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა მომადლებული და ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული, თუმცა, არც პირადი ტრაგედია დაჰკლებია და მის მშობლიურ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებულმა მოვლენებმაც ხომ, როგორც იტყვიან, მოუსწრაფა სიცოცხლე. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ის, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, მუდამ გრძნობდა დიდ პასუხისმგებლობას ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების დასაცავად და ყოველთვის საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოვლენების შუაგულში ტრიალებდა, როგორც გამოუსწორებელი მეამბოხე სულის ადამიანი, რომლის მსგავსნიც იშვიათად ან საერთოდ ვერ „ითვისებენ მორჩილების გაკვეთილებს“. იგი უშიშრად იბრძოდა ყველა იმ მანკიერებათა წინააღმდეგ, რაც ჩვენს საზოგადოებაში უხვადაა მოზღვავებული.

გერმანე ფაცაციამ, ამ უნიჭიერესმა, ფართო განათლებისა და ერუდიციის ადამიანმა, არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებითა და გამორჩეული ხიბლით დაჯილდოებულმა, ღვთივკურთხეულმა პიროვნებამ, შედარებით ხანმოკლე სიცოცხლის გამო, სრულიად ვერ მოახერხა თავისი უსაზღვრო პოტენციალის რეალიზება, მაგრამ ის, რაც მან მოასწრო, როგორც მეცნიერმა, პუბლიცისტმა, პოლიტიკოსმა, საზოგადო მოღვაწემ, პოეტმა.... ნამდვილად გვაძლევს იმის საფუძველს, რომ დაბეჯითებით ვთქვათ: იგი თავისი სამშობლოს, ყოველივე ქართულის ერთგული მოამაგე, ჭეშმარიტებისა და სიკეთის მსახური, ჯერ კიდევ შემოქმედებითი ნიჭის აღმასვლის წლებში, ვალმოხდილი და პირნათელი წავიდა ამქვეყნიდან (აკი, მუდამ სადღაც ეჩქარებოდა, არცერთ შეხვედრას, ოფიციალურს თუ არაოფიციალურს, არასდროს ბოლომდე არ ესწრებოდა, ჩვენთან იყო და არც იყო, „სხვაგან ქროდა მისი გონება“, ზეცა უხმობდა...) და უმძიმეს ტკივილთან, მწუხარებასთან ერთად, ნუგეშად დაგვიტოვა დაუვიწყარი მოგონებანი იმ ჭეშმარიტად ადამიანურ ურთიერთობებზე, რასაც განუმეორებელ ხიბლსა და ლაზათს მატებდა მისი ღვთიური მადლით გასხივოსნებული პიროვნული თვისებები.

ჩვენო „მწუხარე სახის რაინდო“ (ასე შევარქვით მას სტუდენტობის წლებში მეგობრებმა), სევდითა და მწუხარებით ვხვდებით ამ დღეებში შენი დაბადებიდან 65 წლის მრგვალ თარიღს (21 აგვისტო) და გარდაცვალებიდან 3 წლისთავს (10 სექტემბერი), ჩვენო დაუვიწყარო ძმაო და მეგობარო, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ვართ ამაყნი და ბედნიერნი იმით, რომ უფალმა მოგვცა შესაძლებლობა, ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები გაგვეტარებინა შენ გვერდით და მრავალ სხვა სიბრძნეთა შორის, შენთან ერთად და შენი წყალობით, ისიც კარგად გაგვეთავისებინა, რომ ამქვეყნად ადამიანებს შორის ნამდვილ ადამიანურ ურთიერთობებზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი სიმდიდრე არ შეიძლება არსებობდეს.

შენი უმცროსი ძმის, ერეკლესა და უახლოესი მეგობრების თაოსნობით, ჩვენ შევიკრიბებით ამ დღეებში და, როდესაც ჭიქა ღვინით ხელში მოგიგონებთ, გაგიხსენებთ (თუმცა, შენ გასახსენებელი რა გჭირს, გახსენება იმას სჭირდება, ვინც დავიწყებულია, შენ კი მუდამ ჩვენ გვერდით ხარ!), შენს სადღეგრძელოში კიდევ ერთხელ გამოვხატავთ უღრმეს მადლიერებას იმის გამოც, რომ შენ იმქვეყნიდანაც (ისევე, როგორც სიცოცხლეში), კვლავაც ერთმანეთის თანადგომა-ურთიერთგაგებისა და ურთიერთსიყვარულისკენ მოგვიწოდებ.

რაც შეეხება შენს ფიზიკურ განრიდებას ამ წუთისოფლიდან და შენი სულის ზეცად ამაღლებას, ამ განცდის გადმოსაცემად პოეტის სიტყვებს მოვიშველიებთ: „ისე კაცურად განვლე ცხოვრება, მზის ჩასვლას ჰგავდა შენი სიკვდილი“. თუმცა, სიკვდილს შენთან „რა ხელი აქვს“, შენ ხომ სასუფეველში განისვენებ, ღვთის საუფლოში ჰპოვე სამუდამო განსასვენებელი, ხოლო ამქვეყნად ჩვენს ხსოვნაში აგრძელებ სიცოცხლეს.

უახლოესი მეგობრების სახელით, ირაკლი კალანდია

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3174

ევრო — 2.6112

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0122

100 რუსული რუბლი — 3.6114

ამინდის პროგნოზი 20 აგვისტოსთვის

23 აგვისტოდან

წიგნი სიყვარულისა

წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, მანონ ლესკო

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

26 აგვისტოდან

ერნესტ ჰემინგუეი

განუყრელი დღესასწაული

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ამ საღამოს მე და ჩემი დაქალები საცეკვაო მოედანზე მივდივართ. დილამდე უნდა ვიმხიარულოთ.

– ვერსადაც ვერ წახვალ!

– მე ვერ წავალ? და რამ უნდა შემიშალოს ხელი?

– ჩალურჯებულმა თვალებმა!

•••

ქალი კითხულობს:

– აბა, ჩემო სარკევ, მითხარი, მხოლოდ სიმართლე მომახსენე, ხომ მე ვარ ყველაზე მომხიბვლელი, ლოყებაღაჟღაჟებული და თეთრყირმიზა?

– გამოფხიზლდი, რა, სარკე კი არა, პლანშეტი ვარ, პლანშეტი.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, მე შენთან ყველა ჩემს სექსუალურ ფანტაზიას ხორცი შევასხი, მოდი, ახლა შენს სექსუალურ ფანტაზიებზე გადავიდეთ.

– რა თქმა უნდა, საყვარელო! ოქროს საყურეები მინდა ლალის თვლებით...

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– დღეს ავტობუსში კონტროლიორი ისეთი თვალებით მიყურებდა, თითქოს მგზავრობის საფასური არ მქონდა გადახდილი.

– გადაიხადე?

– არა, მაგრამ ისეთი თვალებით ვუყურებდი, თითქოს გადახდილი მქონდა.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ სამსახურში ჩვენმა უფროსმა ჩემპიონატი გამართა პასიანსში „პაუკსა“ და „კასინკაში“.

– მერე, როგორი შედეგით დასრულდა?

– საპრიზო ადგილებზე გასული სამი თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

•••

ქმარი კროსვორდს ავსებს და ცოლს ეკითხება:

– აბა, თუ მეტყვი, პირველი მამაკაცი, ხუთი ასოა.

– პაატა.

•••

ყვავილების გამყიდველი ახალგაზრდას ეუბნება:

– ახალგაზრდავ, უყიდეთ ყვავილები თქვენს გოგონას, თორემ აქ დგომისგან გავიყინე.

– რა ღირს?

– 25 ლარი.

– ასეთი ფასით უფრო თბილად უნდა იცვამდეთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

ლუის ენრიკეს კლაუდიო ბრავოს გაშვება არ უნდა

კლაუდიო ბრავოს მანჩესტერ სიტიში ტრანსფერი ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

ბრავო ხუთშაბათს მანჩესტერში უნდა ჩაფრენილიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ბარსელონას მწვრთნელი ლუის ენრიკე ბრავოს გაშვების წინააღმდეგია და შესაძლოა ჩილელი გოლკიპერი ბარსელონაში დარჩეს. თვითონ ბრავო ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს და ბევრი რამ სავარაუდოდ რამდენიმე დღეში გაირკვევა.

შაბათს ბარსელონა ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში ბეტისს მიიღებს და ბრავო ამ შეხვედრაში ითამაშებს.

ბენზემა რეალ სოსიედადთან შეხვედრას გამოტოვებს

მადრიდის რეალის ფრანგი ფორვარდი კარიმ ბენზემა სავარაუდოდ ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურს გამოტოვებს. ბენზემას მცირე ტრავმა აწუხებს, რომელიც ფრანგმა ფეხბურთელმა ჯერჯერობით ბოლომდე ვერ მოირჩინა.

რეალისთვის ესპანეთის ჩემპიონატი რთული შეხვედრით იწყება სტუმრად რეალ სოსიედადის წინააღმდეგ. სან სებასტიანში სამეფო გუნდმა წლების მანძილზე არაერთი მარცხი განიცადა და რეალს იოლი გასეირნება არც ამჯერად ელის. საეჭვოა კრიშტიანო რონალდუს თამაშიც, რომელსაც ასევე ტრავმა აწუხებს.

შეხვედრა 21 აგვისტოს თბილისის დროით 22.15 საათზე დაიწყება.

კრისტიან ბენტეკე ცალი ფეხით კრისტალ პალასშია

როგორც ჩანს, ლონდონურმა კლუბმა კრისტალ პალასმა მაინც მიაღწია თავისას და ლივერპულის ბელგიელი ფორვარდი კრისტიან ბენტეკე გადაიბირა.

კრისტალ პალასს ამის გაკეთება ადრეც უნდოდა, მაგრამ მაშინ ტრანსფერი ჩაიშალა. ამჯერად კი ყველა დეტალი შეთანხმებულია და ბენტეკე შაბათს ლონდონში ჩაფრინდება სამედიცინო შემოწმების გასავლელად. ამ ტრანსფერში კრისტალ პალასი 27 მილიონ გირვანქა სტერლინგს ჩამოვა, რაც 5 მილიონით ნაკლებია იმ თანხაზე, რომელიც ლივერპულმა ერთი წლის წინ ბენტეკეში გადაიხადა.

ბელგიელმა ფორვარდმა ლივერპულში გამოსვლის დროს 42 შეხვედრაში 10 გოლის გატანა შეძლო.

კარლოს ბაკა მილანში რჩება

იტალიური მილანის კოლუმბიელი ფორვარდი კარლოს ბაკა გუნდის დატოვებას არ აპირებს. ამის შესახებ მან ერთ-ერთ ინტერვიუში ისაუბრა.

ზაფხულში ბევრი ჭორი ვრცელდებოდა იმის შესახებ, რომ ბაკა კარიერას ინგლისურ ვესტ ჰემში გააგრძელებდა, მაგრამ ეს ინფორმაცია თვითონ ფეხბურთელმა უარყო. მისი თქმით, მილანი მომავალ სეზონში გაცილებით ძლიერი იქნება და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვის იბრძოლებს. ბაკა მილანში შარშან გადავიდა და პირველივე სეზონში 18 გოლის გატანა შეძლო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მანანა აბრამიშვილი რუსთავი 2-სგან ჰონორარს ითხოვს



რუსთაველის თეატრის მსახიობი მანანა აბრამიშვილი ტელეკომპანია რუსთავი 2-სგან კუთვნილი ჰონორარის მიღებას ითხოვს.

როგორც მსახიობმა განაცხადა, უკვე 6 თვეა, თანხის ჩარიცხვას უშედეგოდ ელოდება.

ის წლებია, რუსთავი 2-ზე მუშაობს და სხვადასხვა პროექტშია დაკავებული. „დილა მშვიდობისა, საქართველო“ და „კომედი არხი“ მსახიობის მონაწილეობით რამდენიმე პროექტს ახორციელებდა. მანანა თავის კოლეგა პაატა გულიაშვილთან ერთად მონაწილეობდა ანეკდოტების გადაღებებში, კომედი არხზე კი სხვადასხვა იუმორისტულ სერიალში იყო დაკავებული.

როგორც მსახიობი ამბობს, ტელეკომპანიაში მას ეუბნებიან, რომ ფული არ აქვთ, რის გამოც ნახევარი წელია, კუთვნილი თანხა არ მიუღია.

– „ხელოვნურ სუნთქვაში“ ვთამაშობ და იქ მსგავსი პრობლემა საერთოდ არ არსებობს. უმაღლეს დონეზეა აწყობილი ყველაფერი. თუ ვერ მივიღე კუთვნილი ჰონორარი, აქედანაც ისევე წამოვალ, როგორც „კომედი არხიდან“. სხვა რა უნდა გავაკეთო? ჩივილსა და აყალმაყალს ვერ ვიკადრებ. ვეტყვი, თქვენს სინდისზე იყოს-მეთქი და დავუქნევ ხელს. ვიცი, ამით არავინ შეწუხდება და გამომეკიდება, მაგრამ აღარც მე ვიქნები ვირის მუშა, – განუცხადა ჟურნალისტებს მანანა აბრამიშვილმა.

ეკა ირემაშვილი

რობერტ დე ნირო ლონდონში ბუტიკ-სასტუმროს ააშენებს

„ოსკარის“ პრემიის ლაურეატს, ამერიკელ მსახიობ რობერტ დე ნიროს ლონდონის ცენტრში ბუტიკი-სასტუმროს აშენების უფლება მისცეს. შესაბამისი გადაწყვეტილება ვესტმინსტერის საქალაქო საბჭომ მიიღო.

ველინგტონ ჰოტელი 83-ნომრიანი იქნება, ასევე მასში იქნება სპა-სალონი, რესტორანი, დახურული კლუბი და სავაჭრო სივრცე.

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ასეთი სასტუმროს აშენების გეგმის შესახებ ცნობილი 2016 წლის დასაწყისში გახდა. როგორც დე ნირო აღნიშნავდა, ლონდონი ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და კოსმოპოლიტური ქალაქია მსოფლიოში და სწორედ აქედან გამომდინარე სრულიად ლოგიკურია, აშენდეს ასეთი სასტუმრო ბრიტანეთის დედაქალაქის გულში – კოვენტ-გარდენის რაიონში.

ველინგტონ ჰოტელის სამშენებლო სამუშაოები 2017 წელს უნდა დაიწყოს, ხოლო მისი გახსნა 2019 წლისთვის იგეგმება.

73 წლის დე ნირო ასევე ფლობს გრინვიჩ ჰოტელს მანჰეტენზე, ნიუ იორკში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 2. ფულის საერთაშორისო ერთეული; 3. ცრუ დაპირებებით მასებზე გავლენის მოხდენის მცდელობა; 4. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 5. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 8. ვულკანი იტალიაში; 9. მეცნიერება საარტილერიო და რეაქტიული ჭურვების მოძრაობის შესახებ; 12. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული რუმინეთში; 14. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 16. მოხარშული ზეთი საღებავებისა და ლაქების დასამზადებლად.

თარაზულად: 1. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 6. დედამიწის ფორმებისა და ზომების შემსწავლელი მეცნიერება; 7. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 9. დიდი სატრნსპორტო-სამგზავრო გემი; 10. ერთგულების მტკიცე პირობა; 11. ქართული ჩაი; 13. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 15. პოპულარული ქართული ხალხური სიმღერა; 17. უმცროს მეთაურთა სამხედრო ჩინი არმიაში; 18. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 19. ფულადი ჯილდო; 20. სასამართლო განაჩენის გასაჩივრება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ლურჯი წითელი ყვითელი შავი